

ହୃଦୟର ଅକ୍ଷମ୍ବାଦ

9/22

11

ସ୍ଵର୍ଗରେ

1938

ବ୍ୟାକିଳା

ସାହିତ୍ୟଲାଙ୍ଘନିକ ସାହିତ୍ୟକର୍ମଚାରୀ
ପାଠ୍ୟବିଷୟରେ ପରିଚ୍ୟାତାବିଦୀ ଓ ଅଧିକାନିତ

11

ସାହିତ୍ୟବିଷୟରେ ପରିଚ୍ୟାତାବିଦୀ
ପାଠ୍ୟବିଷୟରେ ପରିଚ୍ୟାତାବିଦୀ
1938 ଫେବୃଆରୀ ମୋହନାନ୍ଦ

შინაარსი

33
3

ოცდაერთი წელი — (მეთაური)

მხატვრული ლიტერატურა

გალაქტიონ ტაბიე — * * *	7
გიორგი ქუჩიშვილი — პოეტის ნეშტთან	8
ჟადო ბალიაური — კვეთილიანი	9
ვაიორგი კალანდაძე — გზა დედქალაქიდან	
ლენინის ქალაქისაკენ	21
შირზა გელოვანი — ჩარგალი	22
ვლადიმერ უბილავა — ტობავარჩხილი	25
როდიონ ქორქია — ნიკოლოზ. შჩორსი	40
შოთა აკოშია — ოთველი	47

კლასიკური მემკვიდრეობა

ა. ს. ტურგენევი — ლექსები პროზაზ	48
----------------------------------	----

პრიტკა

ა. გაწერელია — კავკასიური ბრძოლები აღ. ყაზბეგის მოთხრობებში	51
--	----

ლიტერატურული კალენდარი

შპტონ სინკლერი	61
ო. ს. ტურგენევი	62
ანტონ ფურცელაძე	64


პასუხისმგებელი რედაქტორის ქ. დრ. მოვალეობის
აღმსრულებელი აღ. გაშავგილი
პასუხისმგებელი მდივანი ნიკ. აგიაშვილი

წარმოებას გადაეცა 23/XI-38 წ. ფურნ. ზ. $6\frac{1}{2} \times 11$,
ქალალის ზომა 72×105 , ფორმ. რაოდ 4, დასა-
ვეჭდად ხელმოწერილია 21/XII-38 წ. შეკვ. № 2214.
მთავლიტის რწმუნებულის № 1072, ტირაჟი 6000.

შასელგამის პოლიგრაფულმშინატი, ურარესის ქ. № 5.



3. 0. 326060



ဂ. ბ. სტალინ

ოცდეართი ცელი

გადიოდა მძიმე დღეები: დღეებს წლები და საუკუნოები მისდევდა. ადამიანის შეირ ადამიანის ჩაგვრას დასასრული არ უჩანდა. იცვლებოდა მხოლოდ ექსპლოტატურისა და ჩაგვრის ფორმები. მშრომელთა მოსახლეობის აბურად აგდება, ადამიანის მორალური უფლებების უქექვეშ გათევა ერთი მუჭა მოსახლეობისაგან — მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან — კიდევ უფრო მწვავე და მხეცურ ფორმებს იღებდა. საზოგადოებრივი განვითარების მთლი ისტორია პირველყოფილი კომუნიზმის შემდეგ იყო ხალხთა დაუსრულებელი კლასობრივი, პოლიტიკური და ეროვნული რჩევის ისტორია. კაცობრიობის მოწინავე ადამიანებს ყოველ ეპოქაში მოსვენებას არ აძლევდა ხალხის ბედი და მათ გონებას აწვალებდა თავისი ქვეყნისა და ხალხის გათავისუფლების იდეა, უკეთესი ცხოვრების იდეა, ჩაგვრისა და ექსპლოტატურის მოსპობის იდეა. მაგრამ ხალხის ამ საუკეთესო შვილებს ვერ გამოენახათ გათავისუფლების ნამდვილ გზა და საშუალებანი. შეურიგებელი პროტესტის ხმა, რომელიც აღსავს იყო არსებულისადმი ზიზლითა და შურისძიების დაუცხრომელი გრძენობით, რჩებოდა ხმად მღალადებლისად უდაბნოსა შინა. დარჩენოდათ მხოლოდ მწუხარებით ეთქვათ: „ეს მეგობრებო, მოვესწრები კი, რომ ხალხი ალარ იჩაგრებოდეს!“ (ა. პუშკინი).

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილი, პოეტი ილია ჭავჭავაძე, სევდიანად ამ-პობდა:

„აყვავებულა მღელო,
აყვავებულა მოქები;
მამულო საყვარელო,
შენ როსა აყვავდები?“

უდიდესმა შეცნიერებმა, რომლებმაც გადატრიალება მოახდინეს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა — მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს და გაარკვის ექსპლოტატორული კლასების დიქტატურის დმბობისა და ხალხთა ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის — უკლასო სოციალისტურ საზოგადოების შექმნის გზები და საშუალებანი. მარქსმა და ენგელსმა კლასთა ბრძოლის გამოცდილებით დაგროვილი მასალის საცუდელზე დასაბუთეს, რომ თავისუფლების მედრიზე არის ერთადერთი ბოლომდე რევოლუციონური კლასი — პროლეტარიატი, რომელსაც უნდა ხელმძღვანელობდეს მეცნიერული თეორიით შეიარაღებული კომუნისტური პარტია; მათ დაამტკიცეს, რომ მუშათა გათავისუფლების საქმე თვით მუშათა საქმეა, და რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმი გადასვლის გზა არის პროლეტარიატის დიქტატურა, სოციალისტური სახელწიფო.

მუშათა კლასს მსოფლიოს არცერთ კუთხეში არ გაჩნდა სამშობლო, რადგან ის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩაგვრას თავისავე ქვეყანაში განიცდიდა თავისივე ქვეყნის ერთი მუჭა ექსპლოტატორებისაგან. უსამშობლო ხალხი დაუსრულებლივ იბრძოდა სამშობლოს მოპოებისათვის, არ ზოგადა არაფერს, მაგრამ მისი მოპოება ჯერჯერობით შესაძლებელი გახდა. მხოლოდ დედამიწის ერთ მეექვედზე ოცდაერთი წლის

წინ, 1917 წლის 7 ნოემბერს, მარქს-ენგელს-ლენინის ტალინის
მოძღვრებით შეიარაღებული რუსეთის მუშათა კლასის მიერ ლენინ-სტალინის დიადა
პარტიის ხელმძღვანელობით, საერთაშორისო პროლეტარიატის მხარდაჭერის ვითა-
რებაში.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას ჩუსეთში მრავალი
საგარეო და საშინაო პირობები უწყობდა ხელს. მთავარი, რამაც გადამწყვეტი როლი
ითამაშა რევოლუციის გამარჯვებაში, საგარეო ვითარებიდან, როგორც გვაშავლის
ამხანაგი სტალინი, იყო ის, რომ რევოლუცია დაიწყო ძირითად იმპერიალისტურ სა-
ხელმწიფოების ურთიერთ გააფთრებულ ბრძოლის პირობებში, ომის პირობებში,
„როდესაც ომით განაშავები და ზავს მოწყურებული მშრომელი მასები თვით მოვ-
ლენათა ლოგიკაშ მიიყვანა პროლეტარულ რევოლუციასთან, როგორც ერთადერთ გა-
მოსავალთან“ (ი. სტალინი). საშინაო პირობებიდან յо:

„ჯერ ერთი, ოქტომბრის რევოლუციას უაღრესად აქტიურად უჭერდა მხარს
ჩუსეთის მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა.

მეორე, მას უეჭველად მხარს უჭერდა ლარიბი ვლეხობა და ჯარისკაცთა უმრავ-
ლესობა, რომელთაც სწოროდათ ზავი და მიწა.

მესამე, მას სათავეში ედგა, როგორც ხელმძღვანელი ძალა, ისეთი გამობრძმე-
ლილი პარტია, როგორიც არის ბოლშევიკების პარტია, რომელიც ძლიერი იყო არა-
მარტო თავისი გამოცდილებით და წლობით გამომუშავებული დისციპლინით, არა-
შედ მშრომელთა მასებთან უდიდესი კავშირითაც.

მეოთხე, ოქტომბრის რევოლუციას ჰყავდა შედარებით ისე ადვილად დასაძლევი
მტრები, როგორიც იყვნენ რუსეთის ცოტად თუ ბევრად სუსტი ბურუუაზია, გლეხთა
„ამბოხებებით“ საბოლოოდ დემორალიზებული მერამულეთა კლასი და ომის მსვლე-
ლობაში სრულიად გაკოტრებული შემთანხმებელი პარტიები (მენშევიკებისა და ესე-
რების პარტიები).

მეხუთე, მის განკარგულებაში იყო ახალგაზრდა სახელმწიფოს უზარმაზარი სივრ-
ცები, სადაც მას შეეძლო თავისუფალი მანევრირება, უკანდახევა, როდესაც ამას მო-
ითხოვდა გარემოება, სულის მოთვა, ძალების მოკრება და სხვ.

მეექვესე, ოქტომბრის რევოლუციას კონტრრევოლუციასთან ბრძოლის დროს შე-
ეძლო იმედი ჰქონდა, რომ ქვეყნის შიგნით არსებული სურათის, სათბობისა და
ნედლეულის რესურსები მისთვის საქმაო იქნებოდა“. (ი. სტალინი).

„ამ საგარეო და საშინაო გარემოებათა შეერთებამ, გვასწავლის ამხანაგი სტალინი,
შექმნა ის თავისებური ვითარება, რომელმაც განსაზღვრა იქტომბრის რევოლუციის
შედარებით ადვილი გამარჯვება“. მაგრამ, ამას გარდა ოქტომბრის რევოლუციის გა-
მარჯვებას რუსეთში ჰქონდა საგარეო და საშინაო სასიათის უაღრესად მინშვნელო-
ვანი სიძნელები. პირველყოვლისა ეს ის იყო, რომ „ოქტომბრის რევოლუციი ერთ-
გარად განმარტოვებული იყო, მის ახლოს და მეზობელად არ არსებობდა საბჭოთა
ქვეყანა, რომელსაც დაეყრდნობოდა იგი“ (ი. სტალინი), არ გვუავდა, პროლეტარული
უმრავლესობა ჩვენს ქვეყანაში და სხვა.

მაგრამ მიუხედავად ამ სრინელებისა, მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის
მსვლელობის პერიოდში იმპერიალისტური სახელმწიფოები ყოველნაირად ეხმარე-
ბოდნენ შინაურ კონტრრევოლუციურ ძალებს და აქეზებდნენ მერყევ ელემენტებს
რევოლუციის ჩაბობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ კონტრრევოლუციური ტროც-
კისტები, ზინოვიევ-კამენევები და ბუხარინელები აშკარად და ფარულად დალა-
ტობდნენ რევოლუციის და ფაშისტურ კაპეიკებზე ჰყიდდნენ მუშათა კლასის თავის-
უფლების ინტერესებს, რუსეთის მუშათა კლასმა, ულარიბეს გლეხობასთან და რევო-
ლუციურ ჯარისკაცებთან ერთად, საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის
მხარისდაჭერის ვითარებაში, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, სოცია-
ლისტური რევოლუციის გენიოსებისა და უდიდესი სტრატეგების ლენინისა და
სტალინის მეთაურობით გაანადგურა მინაური და გარეშე კონტრრევოლუცია და

შეჲქმნა უძლეველი საბჭოთა კაცშირი, რომელიც მსოფლიოს გულში აღმართულია, როგორც თავისუფლების დროშა და უცელა ქვეყნის ჩაგრულთა იმედი.

ოცდაეთრი წლის განძილებულ თავი დაადწიეს რა კაპიტალისტებისა და მემშეულების ბორკილებს, სოციალისტური ქვეყნის მუშებმა და მშრომელმა გლეხობამ შეჲქმნეს თავიანთვის თავისუფალი, უზრუნველყოფილი, კულტურული, ბედნიერი და ძალამური ცხოვრება. საბჭოთა კაცშირის ხალხებმა თავიანთი გმირობითა და მამაკანით ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. მათ გმირულად დასხლიეს უცელა სიძნელე, მამაცურად გასწიეს წინ — აღადგინეს ომებისაგან განადგურებული სახალხო მეურნეობა, გარდაქმნეს იგი და ძირითადად დაამთავრეს. სოციალისტური საზოგადოების აგება, ჩენი ქვეყნის ხალხები, როგორც არც ერთ ქვეყანაში და არასოდეს ისტორიაში, შეგნებულად ჰქმინიან თავიანთ ისტორია. მათ იციან და სწამთ თავიანთი მომავალი. ამიტომ ამ მომავალს ისინი შეგნებულად და დაუინტებული შემოქმედებითი მუშაობით ჰქმინიან.

სოციალიზმის ქვეყანაში ყოველდღიურად იზრდება და ვითარდება სახალხო მეურნეობის უცელა დარგი, იზრდება და უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობა. ეს ხდება მაშინ, როცა კაპიტალისტური ქვეყნები გამოუვალი კრიზისების მარწუხებში არაან მომწყვდეული, როცა იქ მშრომელთა უკონიმიური და საყოფაცხოვრებო პირობები დღითიდე უარესდება, მატულობს უმუშევრობა, შიმშილი, სილატაკე, ავადმყოფობა, სიკვდილიანობა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ სერთაშორისო ფაშიზმის მოსყიდული აგენტები კონტრევოლუციური ტროკისტები და ბუხარინელები შენიბბულად და გაძლიერებულად მოქმედებდნენ, ფართოდ შლილენ თავიანთ მავნებლურ მუშაობას ჩენი მეურნეობის უცელა უბანზე, ჩენი მაინც ბრწყინვალე წარმატებებს ვალწევლით და ვალწევო, ჩადგან ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო მშიდროდ დარაზმული მშრომელი მოსახლეობა შეგნებულად იბრძოდა სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებისთვის და ასეთ პირობებში არავითარ მაგნებლობას. არ შეეძლო მისი ჩაშლა.

საბჭოების თვალუწვდენელ სიცრცეზე დიდი სტალინის მშობლიური ზრუნვთ შეველა ხალხებმა უკეთესად მოაწყეს თავიანთი ცხოვრება, განავითარებს საკუთარი, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. საბჭოთა კაცშირში შემავალმა უცელა ერმა თავისი ინტელექტუალური კულტურის წარსული და აწინდელი მიღწევები შეიტანეს საბჭოთა კაცშირის კულტურის საგანძურები. არც ერთ ეპოქაში არ შეიძლებოდა ჸქონდა დიდი და პატარა ერების კულტურულ მემკვიდრეობას ისეთი დიდი დაფასება, როგორიც აქვს მას დღეს სოციალიზმის ქვეყანაში. საბჭოთა კაცშირის ხალხებმა თანაბარი სიყვარულით ჩატატებს პუშკინისა და შოთა რუსთაველის იუბილე, ჯამბულისა და ილია ჭავჭავაძის იუბილე, ასეთივე თანაბარი სიყვარულით ემზადებიან ისინი შევჩერებისა და „დავით სასუნელის“ იუბილებისათვის და სხვა.

— საბჭოთა კაცშირში შეიქნა მსოფლიოში მოწინავე სოციალისტური კულტურა, საკაცობრიო კულტურა. ჩენის ქვეყანაში, როგორც არსად და არასდროს, შეიქნა უცელა პირობა ადამიანის ინტელექტუალური უნარის გაფურჩქვნისა. ადამიანი სოციალიზმის ქვეყანაში უდიდესად ფასობს, იგი უძვირფასებს კაპიტალია უცელა კაპიტალთა შორის. ამიტომ ბუნებრივ და ჩევლებრივ მოვლენად გადაიქცა ჩევლებრივ ადამიანთა რიგებიდან ათასობით და მილიონობით დაკვრელების, სტახანოველების, საბჭოთა კაცშირის გმირების, მგზნებარე პატრიოტების გამოსვლა. სოციალიზმის ქვეყანა გმირების ქვეყანაა, ჩადგან თვითეულმა მოქალაქემ იცის, რომ მისი გმირობა და თავდადება ანტიცეპტებს და აძლიერებს ხალხთა კეთილდღეობას, უკეთეს მოშავალს, მან იცის, რომ თავისი გმირობით უდიდესი წლილი შეაქვს კაცობრიობის გათავისეულებისთვის ბრძოლის საქმეში, ჩადგან საბჭოთა კაცშირის სიძლიერე საწინდარი და იმედია მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა, რომ სოციალისტური ჩევლა

ლუციები სხვა ქვეყნებში აღარ იქნებიან განმარტოვებულის. მათ ეყოლებათ გვერდით ძლიერი საბჭოთა კავშირი, რომელსაც დაეყრდნობიან და ისარგებლებენ მისი უზიდესი გამოცდილებით.

ჩვენი საბჭოთა ქვეყნა მტკიცეა პოლიტიკურად, იგი უძლეველია თავისი ხალხის უსაზღვრო სიყვარულით. ოცდაერთი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა არა ერთი და ორი მაგალითი უჩვენეს მსოფლიოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სიძლიერისა. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხალხის ის მტკიცე მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, რომელიც გამოამჟღვნა მან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს. ამ არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვება მოაბრუა კომუნისტთა და უბარტიოთა ბლოკმა. „ამ ბლოკმალენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ თავი მოუყარა მშრომელთა მოელ მასას მოელი ხალხის 98 — 99 პროცენტს“ (მოლოოტვით).

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ოცდაერთი წლის თავშე კიდევ უფრო გაძლიერდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი საერთაშორისო მასშტაბით, როგორც იმპერიალისტური ომის მტერისა და მშვიდობებანობის ერთადერთი ქვეყნისა. მაშინ, როცა „მეორე იმპერიალისტური ომი ნამდვილად უკვე დაიწყო, იგი დაიწყო ჩუმჩუმად, ომის გამოუცხადებლად“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“), საბჭოთა კავშირი შეურცევლად დგას თავის სამშვიდობო პოლიტიკაზე. მთელი მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობის უურადღება, აზრი და გონიერა მიუწოდილია მისკენ. დღითიდებები იზრდება და ფართოვდება საბჭოთა კავშირის მეგობართა წრე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მაგრამ, მთელი ჩვენი მიღწევები ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, ოდნავადაც არ იძლევიან იმის უფლებას, რომ თვითდამშვიდებას მივეცეთ. რამდენადაც უფრო ძლიერდება სოციალისტურ ქვეყნის სიმტკიცე, იმდენად იზრდება ფაშისტური ქვეყნების მხეცური გაბოროტება და მტრობა. ჩვენი ქვეყნისადმი. ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ გარემოცვაში. შეუპოვრად და დაუკინებით უნდა ვაწარმოებდეთ მუშაობას სახალხო მეურნეობის უფლებანიშვი ახალახალი წარმატებების მოსაპოვებლად, ვიძლეოდეთ გმირობისა და პატჩიოტიზმის მაგალითს შჩომის ფრონტზე და უნდა გვახსოვდეს აგრეოვე დიდი ბელადის ამხანაგ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს ჩერება: „საჭიროა ყოველნაირად გაფაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვა-ავიაქიმი, საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლით მობილიზაციური შზალყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ“ და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ითხებმა ვერ მოვისწროს მოუმზადებელს“.

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით და ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით გავმარჯვეთ ოქტომბრის რევოლუციაში, ავაგეთ უკლასო სოციალისტური საზოგადოება, მოვაწევთ კულტურული და საამური ცხოვრება. ამავე დროშითა და ამავე პარტიის ხელმძღვანელობით გავწევთ წინ და გავიმარჯვებთ მსოფლიოს მასშტაბით.

გაუმარჯვოს ოქტომბრის დღი. სოციალისტური რევოლუციის ოცდაერთი წლისთავს!

გაუმარჯვოს მსოფლიო სოციალისტური ჩევლლუციის გენიოსკა და სტრატეგია ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს!

მხატვრული იუტერაზურა

13

გალაპტორი ტაბიდე

* * *

ულევი, უანგარიშო,
შიშით და ურქოლით ამტანი,
შენს არე-მარეს, პარიუო,
აშუქებს კაფე-შანტანი!

ლამე თრთის, ვით კორმორანი,
ნისლის იშლება ჯეჯილი.
სფინქსებთან ჩხავის ყორანი,
ბრმა, კოჭლი, ხმაჩახლეჩილი.

ყველაზე მეტად ის სტირის
პარიზს: „იცოდე ნეტავი
შენს ღამეს და შენს იზირისს
მე ვხედავ ყველაზე მეტად!“

პოეტი ზოგი შხამიანს
წესს აღმოჩენას აღარებს, —
მაგრამ სთქვი, ბრმა აღამიანს
ამნაირს რა შეგვაყვარებს?

ულევი, უანგარიშო,
შიშით და ურქოლით ამტანი,
შენს არე-მარეს, პარიუო,
აშუქებს კაფე-შანტანი!

პოეზის ნაგვთან

სამშობლო შენი, ვით დედის გული,
ეგლო გართხმული რკინის ქუსლის ქვეშ.
შენ კი, პოეტი, ტიტანურ სულით
ეკვეთებოდი ცის უკუნ სისქეს.
მარად უსაფრომ და ბობოქარმა
მერანს უბედოს, მიანდე ბედი
და წარგიტაცა, ვით ნიავქარმა,
სულ სხვა ცხოვრების წინამორბედი.
„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში!“
ცას შეჰქიოდი ურჩი, რაინდი
და საღლაც განჯას გადაკარგული,
წამოგეწია სიკვდილის ბინდი.
ასე დაინთქა სიცოცხლე შენი,
ასეთი იყო ის დრო ვერანი,
მაგრამ უმხედრო შენი მერანის.
სწრაფვა,
ჭიხვინი,
რახტის ულერანი, —
კილავ, გვიტაცებენ შედგარი ფრენით.

ნეშტო დიადო, იყავი მშვიდად:
„სიძნელე გზისა გაგვიადვილდა!“

15 ოქტომბერი.
მთაწმინდა.

ქ ვ ე თ ი ლ ი ა ნ ი

ისინი ჩქარი ნაბიჯით მხსდევდნენ ქუჩას. ბოლოს ერთი მათგანი შეჩერდა, ბალის იქთ შენობას გადახედა და ამხანაგს ლიმილით უთხრა:

— აი აქ არის, მოვედით!

— ძლივს!.. — სიხარულით წამოიძახა მეორემ. შავი დიდრონი თვალები გაუბრწყინდა და იღუმალად შეუჭერასტა ფანჯრებიდან გამომზირალ დაზებს. დინჯად მხუახლოვდნენ ფაბრიკაში შესვალ კარებს. დირექტორი იკითხეს და საღად მორთულ ოთახში ხევსურული ტანისამოსის სუნი შეიყოლიეს. ფაბრიკის დირექტორი გულთბილად შეხვდა. ხელები ჩამოართვა, დაბრძანება სთხოვა. ისინი ჩუმად და მორიდებით დასხდნენ, საქმის დაწყება გაუჭირდათ. დირექტორმა შეამჩნია და თვითონ შეეცითხა, საქმე ხომ არაფერი გქონდათ.

— დიალ! — უპასუხა ერთმა მათგანმა, — აი ამ ქალს სურს მუშა გახდეს, — და ხევსურად ჩაცმულ ქალზე მიუთითა. დირექტორს ბაგრზე ღია ზილი შეუთამაშდა. სტუმარი შეათვალიერა და სახელი ჰკითხა. მზა მქვიანო, უპასუხა და თავი დახარა.

— კარგი სახელი გრძელება!... კომკავშირსელი ხარ?

— არ.

→ წერაკითხვა იცი?

— არ.

— არა გრცხვენია; დაილო?!

არა. რად უნდა რცხვენოდეს მზას. რე ხევსურია. არხოტიონი. დამფრთხალ ფურჯიხვივით შემოიჭრა ქალაქში. აქამდე დაფეხული დადიოდა. ახლა კი...

— რამ გაიძულა ქალაქში ჩამოსვლა?!.. — იყითხა დირექტორმა და უფრო ახლოს დაუჯდა მზას. მზამ ოდნავ ამოიოხრა.. სირცხვილის ეტლი აცქიატდა მის სახეზე. ხოლო მისმა ამხანაგმა ქალმა შემდეგი უამბო დირექტორს:

მზა... ჯერ კიდევ პატარა იყო. რომ უბედურება დაატყდა თაჭა: ოჯახს კეზი გაუტყდა — მამა მოუკედა. ეჭვსი სული დარჩა აბლად: ხუთი. პატარა და და დედა. მზა ყველაზე უმცროსი იყო. მეხავალედ ედგა ოჯახს: ფეხში-

შველი, პერანგის ამარა ქვა-სეთ აწყდებოდა, მოჯამავირობდა. ლუკმა პურს შოულობდა. მაგრამ სამაკლაოს ეუბნებოდნენ—ხელუკულმა აწვდიდნენ გამხმარ ქერის პურს. კარების უკან ბნელ კუნკულში იჯდა და ილოლნებოდა. შინმოსულს მოსვენებას არ აძლევდნენ: ჩეჩდა, ართავდა, ქსოვდა. სიმწრით ჩამოილია საწყალის დღეები. დაქალდა, ძუძუები აუკოკრდა, თეძოები გაუსქელდა. დახეულ პერანგში აღარ ეტეოდა. თმაგაბურძვნილი ცშირად ნამტირალევი დადიოდა, მაგრამ ლამაზი იყო მზია. მწყემსი ბიჭები იდუმალად შეათვალიერებდნენ დახეულ პერანგში გაზვეულ, მთის ბროლივით მკვრივსა და თეთრ სხეულს. იგი ნამეტნავად მოსწონდა ზიჩლა ბაზურაულს. მზიას აღარ ეშვებოდა. აედევნებოდა და წარამარს დასჭირვინებდა. საჭიდრად იწვევდა. იდუმალად ჰქებნდა ლოყაზე და ნარბენალივით აქლოშინდებოდა. მზიას ხიჩლა ჭირივით ეჯავრებოდა, გამწარებული ქვებს დაუშენდა. ავა ხასიათის საწყევარს ეტყოდა, მარცხნივ გადაა-ბურთხებდა და შორს გარბოდა. ჩაწვებოდა ბალაზში, იწმენდდა ხიჩლას ნაკენს. და ტიროდა. დიდხანს ახლოს აღარ გაეკარებოდა, ემალებოდა, მაგრამ წყეული ხიჩლა არ მოშორდა. სიკვდილმა მოაშოროს სამზეოს!... ხევსურეთი დაანატრა მზიას. სწორებს მოაშორა სწორომოსასხლეტმა!...

ერთ საღამოს გოგო-ბიჭები მოგროვილიყვნენ: მოტაცებული პატარძალი მოეყვანათ შოთელში — ახალუხლობდნენ. მზია პატარძლის გვერდზე იდგა და ძუძუებზე ხელი შემოეხვია, თითქოს მონაპარს მალავსო. სახე გაბრწყინვებოდა. ცეკვა სურდა: კისყისებდა, მაგრამ უცბად მოიღუშა: ოთახში ხიჩლამ შემოაბიჯა და შემოსვლის უმალ მზიას კბილები გაუნათა. მზია დათოფილი შევლივით დაფრთხა. კედელს მიაწყდა. გოგო-ბიჭები ახარხარდნენ. ყიუინა დასცეს. ვიღაცამ დაუსტვინა. ხიჩლა გაგულისდა და იმ წყეულმა მზიას „ხელის დაკვრა“ გაუბედა:

— დღეის შემდეგ მზია ჩემი ას. ცოლად ვერავინ წაიყვანს! — დაიძახა ხმამაღლა და ბრაზიანი თვალებით შემოცელა ახალუხალი. იქ მყოფთ ჯერ ხუმრობა ეგონათ. შემდეგ გაგულისდნენ და გვარი გვარს დაუჯახა:

— უჯიშოვ, უჯილაგოვ, ხიჩლავ!..

— ციცა იყვას შენის მკვდრისადაც ციცა!..

— შაგვარუტვინ!

— თავ მოგვჭერ ხევსურეთში.

— ქალს ხელ დახვარ. კაცად არ ჩაგვუარენი.

— გვარ შეგვირცხვინ.

— უჯიშოვ, უჯილაგოვი!..

ეძახდნენ მზიას მოკეთები და ხიჩლას ძმა-სახლის კაცებს ხმლითა და ნანჯლებით ეტეოდნენ.

ხიჩლა ჩუმათ გაძვრა ლამის სიბნელეში. შინ შეიპარა და სახლის კაცებთან ილრიჭებოდა.

— ჩემ იას მზია, ჩემ!... ვერვინ წაიყონს!...

მზიამ ტანისამოსი შემოიხია, ყურყამივით შავი თმები დაიჭრა. სახე და-იკაწრა და დიღხანს, დიღხანს ტიროდა. სწყევლიდა ხიჩლას. თავს მოვიკლა-ვო, არწმუნებდა დედას. უნდაურ ქრმისთვის წაყოლას სიკვდილი მირჩე-ვნიათ. გარეთ აღარ გამოდიოდა: საბნელოს დაჯდა ხიჩლას მწუნობარი.

მეზობელი ქალები მაჭან კლობდნენ:

— ხიჩლა კა გვარისა იას!..

— ჯიშ უყვირის!...

— თესლ ჯილაგიან იას!

— დიდ ქონება აქვის.

— ცის ნამს არ გაგაკარებს.

— ობოლ თხერ იხარ, გიპატრონებს.

ეუბნებოდნენ ისინა.

მართალია, ხიჩლა ჯიშიანი ვაშკაცია, კარგის გვარისა, მაგრამ მე არ მიუვარსო: „გარყევნილი ხასიათისა იას წყეული, გარყენილი ხასიათისა“ — ამბობდა მზია და გული უწუხდებოდა. ხიჩლა ჭირივით ეჯავრებო-და (ჭირმა წაილოს. მისი გონჯი სახე!). მზიას არავინ ჰერთხა: გვარის უფროსები შეიყარნენ და ხიჩლას ძმას და სახლის. კაცებს მაკეთეობა-უთხრეს. სკამზე დაისვეს მზია გაათხოვეს. „წყეულო სიცოცხლევ!.. ხიჩლასთან ყოფნას არ ყოფნა სჯობის“. — ფიქრობდა მზია და კისმარე-დღეს იჯდა საბნელოს. ტიროდა. მოკეთები თავისას არ იშლიდნენ. მა-კეთეობდნენ. ხშირად მოდიოდნენ მზიას ოჯახში, მაჲჭონდათ: „ბედის-კვა-რა“. მასანახავი: სასანთლე. ქადა და არაყით სავსე ქინთები. თავად ხიჩლა-და მზია ერთიმეორებს ემსლებოდნენ — ხევსურეთის წესს არულებდნენ.

რამდენიც დრო გადიოდა, მზია უფრო ლამაზდებოდა. ახალი ტანისა-შოსი შეიკერა. დამშვენდა. სწორდერნი გაიჩინა, ხიჩლას ჩუმად შეავლებდა თვალს და სიმწრით ბაგებს იქცენდა. ბედს იწყევლიდა. რამდენჯერმე გადაუგდო „ლაშანი“, მაგრამ არ იქნა: ხიჩლა თავისას გაიძახოდა:

— მზია ჩემი ას. ვერვინ წაიყვანს. სისხლ დაიღვრების!...

— მზია გაჯიუტდა: მწუნობარი გახდა — მანდილი ალარ დაიხურა... დედამთილ მამამთილს აღარ დაემალა — ხევსურეთის წესი დაარღვია. ხიჩლას ხალხში არ მოერიდა: დაენახვა და მწარედ იხარხარა. შეარცხინა: გარმონზე სასენო უმღერა.

— სწუნობის!...

— თავის დანებებს იწერავს!...

— ხიჩლას არცხვნის!...

— სისხლ დაიღვრების!...

— დაასახიჩებენ!...

— ცხვირს მოსჭრიან!...

— ხელით გააუხმრებენ!...

ამბობდა ხალხი.

შზის თამაშობდა: ის დრო წავიდათ, ამბობდა, როდენსაც ქალები ძალით
მოჰყავდათ. ადამიანი კარ, თავის სურვილი მაქვს, ვისაც მინდა, იმას შევა-
ყვარებო.

ხიჩლას სიყვარულის აღი მოედო. უძილობა დასჩემდა. ლოგინში ვე-
ლარ ისვენებდა. დღედაღამე მზია ესურათხატებოდა, ერთი გადაწყვე-
ტილება ერჭო ლურსმანივით მის გონებას:

— მზია უნდა გაუპატიოურდეს: შვილ დააბომს ძალის მაგაზე. გა-
დაწყვეტილი ძმა-სახლისკაცებს უთხრა. სამი ღონიერი ახალგაზრდა, აგ-
ყოლა. იარაღი აისხეს. ღამის სიბნელეს შეუერთდნენ.

იმ საღამოს მზია დაღლილი დაბრუნდა შინ: მთელი დღე ხნივდა ყანას. კარგა ხანს იჯდა ჩრაქვის სინათლეზე: მატყლს ჩეხდა, ხიჩლას დაბადების
დღეს სწყევლილ და ჩუმად ცრემლს ღვრიდა. თავის დანებებას ნატრუ-
ლობდა. შუალამზე იყო გადასული, რომ სოფლის ბოლოში ძალები აყე-
ფდნენ. მზია შეკრთა. საჩქაროდ ჩააჭრო ჩრაქვი და ჩალის ლოგინზე მიწვა. დაწოლის უმსალ ლოდივით დააწვა ძილი და ბურანში გაეხვია. ველარ
გრძნობდა ძალების წქმუტუნს, შავ ლანდებს რომ უტევდნენ სიბნელეში. ლანდები ნელის ნაბიჯით უახლოვდებოდნენ ბოსლის კარს. ბოლოს დერე-
ფანს მიაღწიეს და ძალებიც გაჩუმდნენ. გაყუჩდა ყველაფერი. მუნებაც
კი, ბუნება, ესრულ ჩქროანი და მუდამ დაუდუმები. პირუტყვი და მუდამ
მოღუდუნე წყარონიც გაინაბნენ, თითქოს ეშინიათო იმ ოთხი ლანდისა,
უკუნ ლამეში ხანჯრის წვერებით რომ ებრძოდნენ ბოსლის კარს, რომლის
შიგნიდანაც ისმოდა მწოლარე ძროხების წყნარი ფშვინვა და მოუსვენარი
ცხენის ფეხის ოდნავი ხმაური, ის ადამიანთა სიახლოვეს გრძნობდა და ეში-
ნოდა. კაჯებთან ატუზულ ხიჩლას ქლოშინი ჰქონდა ამომჯდარი. ხოლო
სამი რიგრიგობით სჭრილნენ ბოსლის კარებს ხანჯრის წვერით. რომ შიგ-
ნიდან მაგრად გაგდებულ ურდულისათვის ხელი მიეწვდინათ და კარები
გაელოთ.

თენების უაშეს პირველად ხიჩლამ გადააბიჯა ზღრუბლს და სუნთქვა-
აჩქარებული, დაჭიმული ნაბიჯით მიუახლოვდა. ჩალაში მწოლარე ქალს.
იგი უფრო ლამაზი ჩანდა ჩირახის შუქზე მზია ღრმა ძილში იყო წასუ-
ლი. ოდნავ წამოშლილი თმის კულულება ზისცვრით ნაბანს სახეზე
ბატკნის კრაველივით დაჰყროდა. შავნი წამწამნი შეერთებულიყვნენ,
და არ შიად ევლებოდნენ თვალის გუვათ. ხოლო მარწყვივით ბაგენი ოდნავ
დასცილებოდნენ ერთიმეორეს და შიგნით თეთრი ქბილები ელავდა. ხი-
ჩლას ოფლის ნამი დაედო უფრო ძქლოშინდა. სულმა წასძლია. ბაგეთ და-
საკონად. დაიხარა და ის იყო უნდა დასწავებოდა, რომ ხმლის ვადა ქალის
სახეს მოხვდა. მზია შეკრთა. გაელვიძა და გაშტერებული ხიჩლას მიაჩერდა.
თვალთა მრისხანებამ შეაკრთო ხიჩლა და მისდა უნებურად! უკან დაიწია:
მზიამ ელვის სისწრაფით მოვლო თვალი ბოსელს. მარტო ხიჩლა თრთოდა
მის წინ. ფაფარაშლილი ვეფხივით წამოხტა მზია საწოლიდან და ხიჩლას:
მწყრალად უთხრა:

— საით შამეებრივ, შე მურდალო!...
— მზიავ!.. — წამოიძახ ხიჩლამ და ქალისაკენ გაიწია.
— გეეთრი აქიო!...
— ჩემი ხარ!... ჩემი უნდა გახდე!... — და ხიჩლამ ქალს ხელი ჩავლო.
— მავიტომ მეჯავრები, მავიტომ, შე უნამუსო!... — სახეში მიაფურთხა
მზიამ და ხელი ჰერი. ხიჩლა კედელს მიაწყდა. ამ დროს სამყოფში შემო-
ვიდა სამი დანარჩენი თანამგზავრიც და მზიას ხელები ჩაჰკიდეს. ღამის
სიბრელეში გააჭროლეს. მზიამ ბევრი იბრძოლა. სწყეფდა. საყვედურს ეუ-
ბნებოდა. გასაქცევად იწევდა, მაგრამ ვერათერს გახდა. მკლავმაგარ ვაუებს
ვერ გაუსხლოთ ხელიდან.

— ჩემი ხარ, ჩემი!... — ელრიკებოდა ზიჩლა და წარამარად წაეტოტა-
ვებოდა გზად მიმსვალს. ანდამატივით იზიდავდა მზიას მკერივი ტანი. მა-
ლალი შეკრდო და რბილი ტუჩები, მაგრამ წარილს ვერ მიაღწია: გზაში
ახალუხალი შემოეგება და მზია ქალვბის გუნდს შეუერთდა. ხოლო, რო-
დესაც კოტეავშირელებმა მზიას მოტაცება შეიტყვეს, ამბავი სოფლის სა-
ბჭოს შეატყობინეს და თვით უჯრედის მრივანი მაშინვე მზიასთან გაჩნდა.
ხიჩლას წინადადება მისცეს, ქალი გაენთავისუფლებინა. წინააღმდეგ შე-
მთხვევაში, დაგიჭერთო, უთხრეს. ხიჩლა ჩაფიქრდა. მოკეთებმაც ურჩი-
ეს — თავის დანებება. ხოლო ხევსურეთის წესი ვერ დაივიწყეს და მზიას
ოჯახს „რჯული“ მოსთხოვეს.

— სამწუნობრო გვერგების!...
— სახლის დანახარჯე მოგვცან!...
— მზიამ სახლში თავ მოგვჭრა!...
— ვაეკაც იწუნებსო!...
— გვარცხვნის!...

ჩიოდნენ ხიჩლას ნათესავები. მეზობლები ჩაერივნენ და მედიატორები
დასხდნენ. ითაბირეს და რვა ძროხა ღრამა დაკისრეს მზიას გადასასალი: სამწუნობრო და დანახარჯი. ბოლოს ერთი უფროსთავანი აღგა ხიჩლას
გვარიდან და მედიატორებს განუცხადა:

— მზია კვერტილში ზის!...
— ჩემი სიცოცხლით ცოლად ვერავინ წაიყვანს, — დაუმატა ხიჩლამ.
— მზია შინ უნდა დაბერდეს, შინ!...

ქმარშვილს ვერ ეღირსების!...
— ხევსურეთის წესს ვერვინ დაარღვევს!...

თქვეს მედიატორებმა და დაიშალნენ...

აქ ამბის მომყოლი შეჩერდა. ღირექტორს ტელეფონით ვიღაც ელაპა-
რაკებოდა. და როგორც ლაპარაკი მოათავა, სიხოვა ისევ განეგრძო მზიას
თავვადასავალი.

— მზიას სიცოცხლის, ლეგა დღეები უგემურად მიიპარებოდნენ, — განაგრძო მან, — კვეთილიანი იყო, ახლოს არავინ ეკარებოდა. ცოლად ვერავინ. თხოულობდა — სისხლის დაღვრისა ეშინოდათ. კომკავშირელები იმედს აძლევდნენ, მაგრამ არევდარევისა ერიდებოდათ.

— სანაწყევერო თას შინ, დაბერებულ ქალი!...

— სიკვდილი. სჯობის მზიას სიცოცხლეს!...

— თავი მარყალ, მზიავ, თავი. ვინ შეგინახავს, ქალბნელო?... — ეუბნებოდნენ მზიას მეზობელი ქალები და ცრუმლით ატირებდნენ. რა ქნას მზიამ; სად წავიდეს? ვის მიმართოს? სიკვდილისა ეშინიან. თავის მოსაკლავად აღებული თოფი ხელიდან უვარდება. წყლის ღრიანცელი შიშის ურუან ტელსა ჰევრის. სახრჩობელა ზარავს... ისევ. მწყემსობა. მთის უურეთ გდება მარტოდ. დღედალამე. დარსა და ავდარს, მოჯამავირეობა პრჩია და ჯოგში წასასვლელად ემზადებოდა.

უცხად სოფელში ახალი ამბავი დატრიალდა. უცხო მეზავრები გაჩდნენ. ხუთმეტი ვაჟი იყო, ოთხიც ქალი. ქალაქიდან წამოსულიყვნენ, კომკავშირელები ვართ, კულტ-ლაშქრობაზე მივდივართო, თქვეს და ახილში დაბინავდნენ: ვინ რაღიოს დგამდა. ვინ სცენას აწყობდა, ან რეპეტიციას გადიოდა. ზოგი საკრავს. უკრავდა, სხვები მღეროდნენ. სოფელში წიგნები გაჩნდა. რვეულები და ფანქრები გაასაჩუქრეს. დედათა და ბუშვთა ეჭიმები დაგზავნეს. ხალხს ითდი და შესახვევი დაურიგეს. მოხსენება ჩაატარეს და ზესურო ახალი ცხოვრება დაანატრეს.

ახალგაზრდა ექიმმა ქალმა განმარტოებით მდგომ მზიას მოჰკრა თვალი. მოეწონა: მზია ლამაზი იყო. ფერ-მწითური, ყელმაღალი, სწორნაკვთიანი სახით, შავი, წარბი და თმა წამწამი რომ ამშვენებს, ქალაქელი ქალის გული მძლავრად მიიზიდა. ხელები გაუწოდეს, დობილობა სთქვეს. მაგრამ მთელმა სოფელმა სამდურავით მიმართა მოსულებს:

— ევეთილიან იას!...

— ნუ მიხოლთ მზიასთა!

— სისხლ დაიღვრების!..

— ხიჩლა ცეცხლს მაიდებს...

— ხეცსურნ არ გვაპატივებენთ!...

მოსულნი ვაჟები იცინოდნენ. მზიასთან ყოფნა სურდათ. მაგრამ ზეცურთა ერიდებოდათ. ერთადერთი ექიმი ქალი იყო მზიასთან ჩუმად ელაპარაკებოდა, ულიმოდა. ცხვირსახოცი და „მიჭვრიტა“ აჩუქა. შავი გიშრის შძივი შეაბა მთას ბროლივით თეთრ ყელზე. ქალაქური ამბები უამბო და გააოცა. მზიამ თავისუფლება ინატრა და ჩუმათ საკუთარ გულში ატირდა.

კულტმოლაშქრე კომკავშირელებმა რამდენიმე სალამო ჩაატარეს. ხევსურები ბარისკენ ვაღაახედეს და ნელის ნაბიჯით ჯგუფ-ჯგუფად გადავიდნენ სოფლიდან-სოფლად. თან გაიყოლეს მზიას გრძნობა-გონება, მზიას დარღიანი გული...

...ერთ დილით მზია საღლაც გაჰქრო, მთელი სოფელი ახმაურდა:

— გათტაცეს!...
— ვინ გაბედ?.. — ამბობდნენ ზოგიქოთები.
— იქნებ თავ მაიკლ? — აფრთხილებდნენ შეორენი და ძებნას შეუდგნენ. მთის ყელები შეკრეს. არაგვს ჩაჰყვნენ და უპატრონო ბოსლებიც დაათვალიერეს. საღამოზე მაცნე მოვიდა სოფელში: მდინარის პირზე სათაურა ვიპონეთო, თქვა და მთელი სოფელი ჩაფიქრდა. იღუმალმა სევდამ მოიცვა ყველა:

— მარჩ დაწონებას!... — თქვა ვიღაცამ.

— თავს შესცოდვ! — დაუმატა მეორემ.

— ეშმაკთად სულის მიცემა არჩიო ხიჩლაისა!... — გადმისახა. მესამემ ბინიდან და ყველანი წყლის პირას წავიდნენ, — ეშმაკი დასწყევლეს და იმ ადგილზე, საღაც სათაურა იპოვნეს, შავი ციკანი დაკლეს, მზის სულის სახსენებელი. ციკნის ლეში დაფლითეს, მარცხენა ხელით მოფანტეს გარშემო წყლის ნაპირზე. იყი ქრთამი იყო ეშმაკებისადმი მიცემული.

ხინჩლას გულს უკბინა მზის დაკარგვამ. უფრო გადარდიანდა. მარტო იმა დასჩემდა. იარებოდა არაგვის პირზე და ეძებდა მზის. მძროს მზია. იჯდა დეკის ბუჩქებში. და შიშით უცქერდა მძებნელთ. ხოლო, როცა ხალხი მიწყნარდა, ქალაჭის გზას გამოჰყვა. ბევრი იწვალა, აქამდი მოაღწია. და აი, აქ, თქვენთან ზის. შრომა სწყურიან. სამუშაოს დაეძებს...

დირექტორი ერთხანს ჩაფიქრებული იყო. უძრავად მისჩერებოდა მზის ხელს, ოდნავად რომ თრთოდა მაგიდაზე დაყრდნობილი. შემდეგ დინჯად ასწრა თავი. ფართო შუბლზე ხელი გადაისვა და მტკიცედ თქვა:

— დამშვიდებული იყავით, სამუშაოს გიშოვნით და ბინასაც მოგცემთ! — თითო დააჭირა კედელზე მიკრულ თეთრ ლილს. არ გასულა ერთი წუთი, რომ კარები გაიღო.

კაბინეტში შემოვიდა კარგად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი.

— აი ამხანაგო, ნინო, — მიმართა დირექტორმა, — ჩვენი ახალი სტუმარი, ხევსურის ქალი გახლავთ. უნდა ვუპატრონოთ. ახლა წაიყვანე. აჩვენობ ჩვენი წარმოება. შენ კი ჩემთან შემოდი, მის შესახებ უნდა მოგელაპარაკო.

— კეთილი! — სთქვა ნინოშ და სტუმარ ქალებს გაუძლვა წინ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მზია გაოცებული დადიოდა დაზეგებს შორის. ეშინოდა, არაფერი დამეჯვახოსო. ბრზიალი, შრიალი, გრიალი ედგა ყურებში. თვალს სჭრიდა აბრეშუმის ქსოვილების სილამაზე. დაენატრა მუშაქალთა ხელობა. ყველას თეთრ კბილებს უელვებდა. გამყოლ ქალს სხარულით წაჰკრავდა ხელს და არალაცის ჩასჩურჩულებდა....

შთაბეჭდილებებით დალლილი, გონება დამძიმებული გამოვიდა ფაფურიკიდან მზია და ეზოს კარებთან გაოცებული შედგა: დირექტორი ელოდა. ხელი სტაცის და მანქანაში ჩასასმელად მოიტაცეს. მზიამ გადიხარხარჯ მზეს შესცინა. დირექტორმა ქალის შავი თვალები დაკუნა გულში და ნიხოს გვერდზე ჩამოჯდა.

— საისკე მივდით, დობილო?! — იყითხა მან ცოტა ხნის შემდეგ.

— ჩემთან, ღობილო!...

იყო ნინოს პასუხი.

....აბრეშუმის ფაბრიკის დირექტორის ამხანაგური თხოვნით მზრა. ნინოს მოწაფე გახდა და მასთანვე დაბინავდა. მზიაშ ახლად დაბადებულად ჩასთვალა თავი და მუშაობას შეუდგა: მთელი დღეები ედგა ნინოს გვერდში და თვალყურს ადევნებდა მის მოძრაობას, ქსოვილს. შრიალს და დაზგის მოქმედებას. შემდეგ კი საკუთარი დაზგა მოითხოვა და ნინოს მეთვალყურეობით შეუდგა მუშაობას. ფაბრიკიდან მოსული მაგიდას მოუჯდებოდა ნინოსთან ერთად და წერა-კითხვას სწავლობდა. უღიძოდა ნინოს და ოხერით ჰყვებოდა მწარე წარსულს.

— კვეთილიან ვიყავ!... — უთხრა მან ერთხელ ნინოს და დაწურილებით უამბო თავგადასავალი. გააოცა.

— რამდენია მწარე დღეში ხევსურის ქალი?...

— ბევრია, ბევრი!... მებრალებიან!...

— შენ უნდა მოეხმარო მათ!...

— აბა რაით?!... რა შემიძლია!...

— ა ისწავლი, დაამთავრებ მუშაკს. მიიღებ მუშის სტაქს და ყოველნაირად შეგეძლება დახმარება. კისერი მოულრიცე იმ ხიჩლას, საძაგელი, რაღა შენ ჩაგაცივდა!...

მზიაშ გადიხარხარი:

— კისერ მოღრეცილ იაქვ. ბერავა იას.

— იქნებ შერიგება გსურს?!.

— ჭირისა წალოს იმისი. თავი!...

— მაშ რა გინდა?!.

— რამდევნ რაიმ, მაგრამ!...

— „მაგრამ“ საქმეს არ შეველის. შრომა და სწავლაა საჭირო, — უთხრა ნინომ და ანკეტა დაუდონ წინ. — აი ეს უნდა შეავსოთ. კომკავშირში ხომ შედიხარ?

მზიას სახე გაუბრწყინდა. ნინოს გადაეხვია. დიდხანს, დიდხანს კოცნიდა.. ჩაცეკროდა თვალებში და ტკბილი ხმით ეუბნებოდა;

— ნინო, შენ ჩემ ფული ხარ, ჩემი მშობელი ხარ!...

— მეკი არა, საბჭოთა ხელოსუფლებაა შენი მშობელი, — უთხრა ნინომ და კომკავშირში შესასვლელი ანკეტის შევსება დაიწყეს.

ხიჩლას მზიას ნახვის იმედი გადაუწყდა: ყინული მოება არაგვის ნაპირებს. მდინარე ნახევრად ჩაიხურა. დადგა შემოღვომის სუსტიანი დღეები. მთაგორები ჩამოთოვა, დაანალვლიანა ზამთრის მოლოდინში მდგომი ვორები. დუმილი დამკვიდრდა მთაში. ერთ დილას მანქანის ხმაშ გამოაფხიზდა ფშავებერთის არაგვის ხეობა, ნელა შეირბინა გორ-გურების ბოლო და ბარისახოს შეისვენა. მეზავრებთან ერთად ფოსტალიონიც მოსულიყო და სოფელში გაზეთები გაჩნდა. ახალგაზრდები გაფაციცებით კითხულობდნენ ახალ ამბებს. ხნიერებიც გარს შემოხვევოდნენ და ყურს უგდებდნენ. გაკვირვებულნი იყვნენ ახალი ამბებით; მაგრამ ერთმა ამბა-

ვმა უფრო გააოცა ისინი: კომპავშირის უჯრედის მდივანში ხვთისო ჩიმი-
კაურმა ხმამაღლა წაიკითხა გაზეთში: „მზის მიღწევები“.

— მზისიონ?...

— რას ამბობ!...

— მზიას ქალაქ რაუნდა;

— ხო არ გაღვიუდი!...

შეკრონენ ხევსურნი.

ხიჩლას თავზარი დაეცა. ჯერ მოჩვენება ეგონა, ხოლო, როცა წერი-
ლის სათაური თვალებით დაინახა, სინამდვილეში დარწმუნდა. და წა-
იყითხეო, შეეხვეწა ხვთისოს...

წერილში შემდეგს სწერდნენ:

„...სხვა მუშების მიღწევებთან ერთად აღსანიშნავია ხევსური ქალის,
მზია ქბიშაურის მიღწევებიც: რამდენიმე ხნის წინათ იგი სრულიად უცო-
ლინარი შემოეხიზნა ჩვენს ფაბრიკას. დღეს სამ დაზგაზე მუშაობს და
საწარმოო გეგმას 250 პროცენტით ასრულდბა. იგი ჩვენი ქვეყნის ღირსე-
ული შვილია და შეჰვერის კომპავშირელობა“...

— მაშ მზია ქალაქ ყოფილას?...

7

— კომპავშირელ გამხდარას?..

8

— წელ მოუმსროთას!...

9

— ხახმატურმ უშველს!...

10

იძახოდნენ ხევსურნი.

11

— ჩემ იას მზია. ჩემი, ჩემ გახდების, ვერვინ წაიყვანს; — ამბობდა
თავისთვის გამწარებული ხიჩლა და თავდახრილი მისდევდა შარას ფიქრით
დაძიმებული: საკვირველია, რატომ არ მოსწონს მზიას ხიჩლა!... შეედუ-
ლება არ აკლია, გვარჯიში არ დაწუნების, სახლ-ქონება გააჩნია, მაშ ა
რა უნდა ქნას ხიჩლამ?

— წაოლ ქალაქს, წაოლ, ვისწავლი, კაცი გავხდები, შევეჯიბრები
მზიას და, ვინ იცის იქნებ მზიამ ჩემი მეგობრობა მოისურვოს, იქნებ ხა-
სიათი გამოიცალოს: გამიგონავის, ქალის გულივ მარტის დღესავით იცვ-
ლებისავ.—ეუბნებოდა თავისთავს ხიჩლა სამგზაფრო მზადებაში გართული...

— ბიჭო, ხიჩლავ, საით მიღიხარ?!

— ბიჭო, რა გემიართების!...

— ქალაქს უნდა წავიდე, ქალაქს ჩემგულ ხევსურეთში აღარ ისვენებს,
ეკლის ლოგინი მაქვს დაგებული, გული მიღნების, ტიალი გული...

— წელ მსგამართოს!...

— მთხოლად იარიღი...

— ნუმცარა შეგაშინებს, ხიჩლა, ნუ!...

ეძახოდნენ ბაზე გადამდგარი ხევსურნი ქალაქში მიმავალ ხიჩლას.

ხიჩლამ თბილისში ნაცნობები მოძებნა, ყველაფერი დაწვრილებით
უამბო და რჩევა-დარიგება სოზოვა. ერთნი ეუბნებოდნენ:

— ბიჭო, მოიტაცე!

— ძმა-ბიჭები შენი ჭირის სანაცვლო იყოს!

— ერთი ეტლი და მისი ჯანი...

— იმისთანა ქორწილი გავაჩალოთ, რომ..

მეორენი კი ურჩევდენნ: სამუშაო აეჩინა ქალაქში, შრომაში სახელი, მოქავეჭნა, ესწავლა, ამქვეყნიური ამბებისა რაიმე გაეგო და შემდეგ იქნება მზიაც შეხვედრიყო.

ხილას მეორე რჩევა დაუჯდა ჭიუაში და „სამუშაო მოძებნა. ერთმა ნაცობმა სარემონტო ქარხანაში მიიყვანა, საამქროს უფროსს სოხოვა: ხირჩლა ჩემთან ამუშავეო, და ამ დღიდან ხილა მონდომებით შეუდგა მუშაობას. წარმოებიდან დაბრუნებული იშვიათად გამოდიოდა გარეთ. იჯტა ოთახში, კითხულობდა, სწერდა, ოთახი წიგნებით გაავსო. უურნალ-გაზეთები გამოიწერა — კითხვით ვერ ძლებოდა. რამდენჯერმე ამოიყითხა მან გაზეთ „მუშაში“ მზიას ქება. ერთხელ სურათიც კი იყო მოთავსებული. სურათი ამოსჭრა და ოთახში საწოლთან კედელზე დაჰკიდა. ენატრებოდა მზიას ნახვა. ხანდიხან ფაბრიკის კარების წინ ჩაივლიდა მუშაობის დაწყებისას და დამთავრების დროს: შორით უთვალთვალებდა მზიას. ერთხელორჯერ მოჰკრა თვალი. ძლივს იცნო. მოშორებით აჰყვა და გაოცდა: მზია გამოცვლილყო — სუთად ჩაცმულ-დახურული დაიარებოდა ვიღაც ქალთან.

ერთხელ ხილას მზიას ნახვის სურვილი აუთხდა, ვეღარ გაუძლო, კოხტად მოირთო, ლამაზ ყდაში ჩასმული წიგნი დაიჭირა ხელში და მზიას გზა გადაუჭრა, როდესაც იგი ფაბრიკიდან გამოდიოდა. წუთით გაუსწორდა თვალები თვალებს, ხილამ ნაბიჯიც კი შეინკლა, მაგრამ მზიამ ყურადღება, არ მიაქცია, ჩვეულებრივი სიღინჯით განავრიძო გზა. „უეპევლია, ვერ მიცნო“, ფიქრობდა ხილა და თავისუფალ დროს ეძებდა შეხვედრისთვის, თან კი ცდილობდა, გაეკეთებია ისეთი რამ, რომ ორიოდე სიტყვით მაინც დაეწერათ მისი საქები გაზეთში, მაგრამ რითი?.. ჩხუბი და სიმამაცე არ გამოადგება — „ქალაქში მაშულლარს ხულიგანს ეძახიან“... სწავლა-განათლებრივაც არ იყო აღვილი ქალაქის საზოგადოებაში სახელის გათქმა მოკლე ხნის მანძილზე... მაშ, ისევ შრომით უნდა მოიხვეჭოს სახელი, შრომით!

ხილას პირველად გაუძნელდა შრომისა და დისკიპლინის კალაპოტში ჩადგომა: ხევსურეთში მიეჩვია უსისტემო შრომას, ზარმაცობას, ლოთობას. შემდეგ ამხანაგები მოექმარნენ და დლითიდღე ამჩნევდა ნამუშევრის სიავეჯრებს და სიღიდეს. ხელფასის რაოდენობაც დიდებოდა, მადლობაც გამოუცხადეს ხილას წარმატებისა და დისკიპლინისთვის. გახარებულმა იმ დღეს ორიოდე წიგნი იყიდა და დასვენების დღეს გარეთ არ გამოსულა — მაგიდასთან იჯდა: კითხულობდა, სწერდა; გაუგებარს ამხანაგებისაგან იგებდა და ცოდნას იმდიდრებდა. ერთხელ აზრად მოუვიდა: დაეწერა ხევსური ქალების მდგომარეობაზე რაიმე. დასწერა კიდეცა მაგრამ წერილი ულამაზო გამოუცხიდა. გადასწერა, ქარხნის კულტმუშაკს მიუტანა, წაუკითხა და დახმარება სოხოვა. კულტმუშაკს წერილი მოეწონა, თავად გაჰყვა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში და ორიოდე დღის შემდეგ ხი-

ჩილამ თავის ხელით დაწერილი წერილი წაიკითხა გაზეობში. მართალიც, წერილი უფრო ლამაზი, აზრიანი და კარგად გაკეთებული იყო, ვიღრე ხიჩლას დაწერილი, მაგრამ მაიც სასიხარულო იყო, „შეიძლება მზიაზ წაი-ერთხოს“ — ფიქრობდა ხიჩლა. ხიჩლას საკუთარი გვარი არ მოუწერის. ფსევდონიმი მოაწერა: „ნეთხიჩველი“, — ასე ლვედრიდა იგი ხევსურეთში თავის სახელს, როდესაც რომელიმე ახალგაზრდას ხმლითა და ხაჯურით ეტევებობდა ჩხუბის დროს. მაში გაიგებს მზია, გაიგებს, ვისიც არის წერილ. ანეტავ თუ წაიჭითხავს იგი“!



ერთს დღეს ხიჩლა ჩვეულებისამებრ აღრე გამოცხადდა სამუშაოზე, ქვდლის გაზეთი შეათვალიერა, წერილები გადაიკითხა და გაოცებული დარჩა, როდესაც თავისი ქება ამოიკითხა: მას 150 პროცენტით შეესრულებინა საწარმოო გეგმა. იმ წამსვე ხალათის ჯიბე გაიხსნა, საბუთები ამოაღავა და დაფლეთილ ქაღალდებიდან გაზეთის ამონაჟერი ამოიღო, რომელშიც მზიას მიღწეუების პროცენტები ეწერა, დახვდა და შუბლი შეიკრა: ერთი წლის წინათ მზიას 250 პროცენტით ჰქონდა საწარმოო გეგმა შესრულებული. მაში, საჭირო იყო კოდევ მეტი ენერგიის დაჭიმვა. „საკვირველი ას, ქალ იმჯობის შრომაში, წყეულ ქალი“, ბრაზობდა ხიჩლა.

— შენ, ამხანაგო ხიჩლა, — მიმსრთა მას ერთხელ სამქროს უფროსშია, — ამ ბოლო დროს სიკონალე გამოიჩინე, მხერამ ცოტა რამ გაკლია...

— რა?! — გაოცდა ხიჩლა და მწყურვალსაფით დააშტერდა.

— მოთმინება და თანაბარი მუშაობა. თუ დროს ერთი ზომით გამოიკვენებენ, მიზანი მიღწეული იქნება: არ არის საჭირო ფაცი-ფუტი, თავიდანვე აღლე ერთი ტემპი. და ამ ტემპით გადი ბოლოს...

ხიჩლას უხაროდა, როდესაც მსს დარიგებას აძლევდნენ. ჩემევა სიხარულით მიიღო და მიზანსაც მიაღწია: თვის ბოლოს საწარმოო გეგმა 253 პროცენტით შეასრულა, თუმცა მეტის იმედი ჰქონდა. ხელფასი მიღო. რა-მდენიმე წიგნი შეიძინა. ახალი ფეხსაცმელები და საზამთრო ტანსამოსი შეაკვრინა. მოირთო და მზიას დაელოდინა ფაბრიკის კარებთან. გაუკვირდა, როდესაც მზიას მეობარი ქალი მაჩტო დაინახა. რამდენიმე ნაბიჯზე გაპყვა უკან. შემდეგ ვეღარ მოითმინა, წრნ ვაღაუდგა და მშვიდად უთხრა:

— ბოლოში, ამხანაგო, ნება მიბოძეთ გაგეცნოთ!...

ქალი შეკრთა. თავი უხერხულად იჭრდნო, მაგრამ, როცა ვაჟა-ცის მშვიდი სახე და სუფთად ჩატარდა ახოვანი ტანი შეათვალიერა, შეჩერდა. რისთვის გჭირდებათ ჩემი გაცნობაო, თქვა. და პასუხს დაელოდა.

— მე ხევსური ვარ, ვიცი, რომ თქვენი ამხანაგი ხევსურია, მზია ქიშიშაური და მინდა მისი ამბავი გავივო.

— რისთვის გჭირდებათ მისი ამბავი?! — იკითხა ქალმა და ვაჟთან ერთად გზა განაგრძო.

— ძალიან გულით მსურს მისი ნახევა. ამხანაგურად ყოთხოვთ მასწავლოთ მისამართი!

- თქვენ რა ხართ მისი?
- მომავალი ამხანაგი.
- თქვენი სახელი?
- ხიჩლას მეძახიან.
- ხიჩლა!. ნუ თუ ეს თქვენა ხართ!... ფიცი.
- უთუოდ გეცოდინებათ, მაგრამ... ალბათ ცუდი წარმოდგენა გაქვთ ჩემზე...

— რატომ ფიქრობთ აგრე?

- თქვენ ხომ მზიას მეგობარი ზართ?
- ღიალ! იჯი ჩემთან ცხოვრობს.
- ალბათ მზია ჩემზე კარგს არას იტყოდა. არც არის ღამინაშავე: შე მიმიღლვის მის წინაშე დანაშაული... მაშინ სხვარიგად ვუყურებდი ქალს.... ახლა.

— ცუდი მაინცდამაინც არაფერი უთქვამს.

- მინდა ენახო იჯი, ბოდიში მოვიხილო.
- მზიამ იცის, რომ თქვენ თბილისში სართ.
- მართლა?!.

— ღიალ, თქვენი დაწერილი წაიკითხა „კომუნისტი“, არ სჯეროდა, მაგრამ, გუშინ სალამოს გაზეთში თქვენი ქება რომ ამოიკითხა, ღარწმუნდა. მგონი ნახვაც არ ეწყინოს. იგი ახლა შინ იქნება: ამ ბოლო დროს ცოტა შეუძლოდა, მგონი გაცივდა, შეიძლება თქვენმა ნახვამ მოარჩინოს!...

- მე კი მეშინიან, პირიერით არ მოხდეს.

— არა. მზია გამოიცვალა, ისე ძალიან აღარს ბრაზობს. ხევსურული ამბეჭიც აინტერესებს. მგონია, არ წაგეჩხუბებათ, დანარჩენი კი... თქვენი საქმეა. აი, მივედით კიდეც. უკეთესია ჯერ მე შევიდე შინ. ცოტახან შემდეგ თქვენც დარეკეთ შემოსასვლელი კარების მარცხენა მხარეზე ზარი.

— კეთილი! — თქვა ხიჩლაშ და ეზოს კარებთან შეჩერდა... რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ქუდმოხდილი იჯდა რბილ სავარძელში, შვიდ ხუჭუჭი ამებრი გაღაევარცხნა, ფართო შუბლი გაეხსნა, მომცინარე თვალებით ათვალიერებდა მზიას. მზია უჯდა გვერდზე და უყვებოდა, თუ როგორ ჩამოვიდა ქალაქში, შემდეგ სწავლის ამბებს. უთხრა ისაც, რომ გაზეთში: ამოკითხულმა შენმა წერილმა ძალიან გამახარაო.

— მუშა გამხდარხარ, ბევრი რამ გისწავლია. პარტიის წევრი ხარ, იცხოვრებ ბეღნიერად, ისე, რომ ცუდი არაფერი ჩამიღენია შენთვის... — სთქვა მზიამ და ტკბილად გაიცინა.

— ღიალ, — დაუდასტურა ხიჩლამ; — ყველაფერი შენი. სიკეთით შოტრა, მაგრამ... — აქ ვაჟი შეჩერდა, თვალები თვალებს გაუსწორდა და ხიჩლას სიამე შარბათივით ჩაეღვარა გულში:

ასე ტკბილად არასოდეს გაუცინია მისთვის მზიას თვალებს.

ბზა ღეღაქალაქიდან ლენინის ქალაქისაკენ

ლიანდაგზე დაფენილი
გზას გვინათებს შუქი მთვარის.
მოსკოვიდან გაფრენილი
ბალტიისკენ მიჰქრის „ჩქარი“.

თვალს აოცებს სტეპის ეშნი,
სისწორე და სიგრძე გზისა.
და გზა მოგავს არყის ტყეში
აშირანის ნასროლ ისარს.

სამხრეთელის ფიქრთა გრეხილს —
ჩრდილოეთის ველებს რძისფერს,
გრძნობს ფოლადის ლიბრი ვეფხი:
იქუხებს და ისვრის ნისლებს.

სიხარულის თრთოლვა მახლავს,
ცის გუმბათზე გარბის მთვარე.
ხეალ ლენინის ქალაქს ვნახავ,
რა მზე გახსნის ზეცის კარებს.

აპა, წითლად აფერადდა.
პორიზონტის ლურჯი ზოლი.
ცამ გადიძრო მუქი ფარდა
და გვიჩვენა მკერდი ბროლის.

თენდება და მიხარია;
შორს ტოროლამ დაჰკრა ზარი.
ჩრდილოეთის ცისკარია,
ბალტიიდან მოჰქრის ქარი!

ჩ ა რ გ ა ლ ი

ვაზას ეზოში მოკლული ჩხიძე

ჩეტმა მასწავლა მინდიას სიბრძნე,
გზას გასწავლით, ქარი მპირდება.
აიღებ მიწას, უბეში იბნევ,
შეხედავ ცას და გაგიკვირდება.
დამკიდეთ ნამის ასი საყურე,
გამიგეთ მკერდი ბროლის მძივითა.
ცა ჩამოიღეთ, მხრებზე დამხურეთ,
ან კლდეს მაჯახეთ არაგვივითა.
რომ სიმღერების თანაზიარად
ჩემფდეს არავი არავიანი,
ამ ჰეცის თაღზე უფრო კრიალა,
ამ მთის, ძუძუზე ბარაქიანი.
რომ ლექსმაც იგრძნოს სული ფშაური
და საუკუნოდ დაფასდეს ჭაფა.
რომ მეპატიოს დანაშაული,
ჩემგან შეცდომით მოკლულო ჯაფარ.
მე შენი მოკვლა როდი მდომია,
გართობა გახდა ამის მიზეზი.
გულიც გქონია, ენაც გდგომია
და — სული მართლაც უფაქიზესი.
გამისათუთდნენ თითები მკაცრი,
მოლურჯო სისხლიც ქარმა შელოკა.
ჯაცი ჰყოფილხარ, ჩიტგულა კაცი,
შემინდოს ვაუამ კაცისმქვდელობა.

„რატომ არ იცინით?!

ღიმილი მაინც მაჩვენეთ თქვენი,
კარგებო“.

ვაჟა-ფშაველა.

ლაუვარდს შევხსენი შვილივე ღილი, შენ არ წამოხვალ?

მე მაინც ვიყლი.

გული კი არა, ირემი ყვირის, ირემი ეძებს ცალს.

გაბაცდა ლამის მუქი იერი, მივდივარ მგზავრი და ბედნიერი
და გრიგალებზე უფრო ძლიერი, შევხვდი ღილას და ცას.

რაკი დაეშვა ხევებში მწუხრი, წრიაბს მივანდე სვანური მუხლი.
საჯიხვეებზე კლდეები რუხი გათენებამდე ვლახე.

და განთიადზე, როცა ძილივით შეწყდა არაგვის ტკბილი
ხივილი,

ზთებო, მე ვნახე თქვენი ღიმილი, ვაჟას მაგიერ ვნახე.

დავჩერებივარ ტალღებს მდუმარი, დადექ! მოვსულვარ შენი
სტუმარი..

დადექ, გამართლდეს ჩემი გუმანი, არაგვიანო წყალო!

რომ შევძლო, მზეებს ვუთხრა ლილეო, დალი ხარჯიხვზე
შევიპირეო,

„სეანი ყოფილხარ, მონადირეო, დავლათიანიმც ხარო!“.

მწევმსის მუქარა

დამაცადე, ნატყვიარში
დავითიო ბალახი...
კვლავ ვიხილო მთები ქარში
ჩემგან გადანალახი.

გაგიტაცო: ლურჯა მალი

მიგვაფრენდეს მალვითა.

შამქიოდეს შენი ქმარი
ასი მეომარითა.

ასსა ვკრავ და ასს მივაწვენ

სისხლს გავუშვებ ლვარადა.

ჩემს მევობარ ხეს მივალწევ,
ტოტს ვითარებ ფარადა.

ბაგე ჰმალო, ვერ დამალავ;

კოცნას მაინც დავჩენ.

ერთი წუთით შენს შავს ჭალალს

ბალახებში დავაფენ.

მერე მომწვდნენ, მერე მნახონ,
აღარ მედარდებოდეს.
გადამკრან და გადამჩეხონ
ხმალი მიწას სწვდებოდეს.



ბევრჯერ ვლესე შავი დანა
ბრაზით და განელებით.
სისხლმა ბევრჯერ გადანამა
ჩემი თეთრი ხელები.
უფრო ბევრჯერ ლიმის ჩენით
უზიდე გულის ტკივილი.
ახლაც ახსოვს ღამეს ჩემი
არწივული ყივილი.
და სიკვდილმა ჩემთან ახლოს
ბევრის თვალი მოფისა.
მთებსაც ახსოვთ, ქარსაც ახსოვს
ეხო ჩემის თოვისა .
დამაცადე, შავს ღამეში
დაგილეწო კარები.
მოვიხვიო შენი ეშხი,
შენი შავი მკლავები.
მერე მომწვდნენ, მერე მნახონ,
აღარ მედარდებოდეს.
გადამკრან და გადამჩეხონ,
ხმალი მიწას სწვდებოდეს!..

გოგავარჩეოლი

თავი პირგელი

მთაზე მთა დგება და ვიღაც მაღლა
ასდევნებია ბილიკებს კლდოვანს.
ზევერავს ფრიალო კლდეებს და ნახავს
მაღალ მწვერვალზე ჯიხვების გროვას.
ჯერ გარბის. მერე დააბჯენს მუხლებს,
ლორდებზე ცოცეით მივა ბუჩქებთან;
მოეფარება ერთ გამხმარ ურთხშელს
და ოოფს მომართავს სულმოუთქმელად.
იქექებს ფილთა. ბერხენი ჯიხვი
შებარბაცდება დაჭრილი მწარედ,
შეუდედდება ძარღვებში სისხლი
და დაეცემა ალბიურ ხავერდს.
ჯოგი დაფრთხება, ბექიდან ბექზე
გადაფრინდება შემკრთალი ფური,
ხმლებივით მართავს ოთხივე ფეხებს
და ქორფა ტანზე ეხვევა ბური.
წავა თხემიდან თხემისკენ სეტყვად
დაფეთებული გროვა შურთხების.
მოლზე წყლის წვეთებს ნიავი ბერტყავს
და იქუფრება კლდის ჩუქურთმები.
მხრებს იმსუბუქებს საჯიხვე მაშინ
და მთა დუმდება. დუმს ცის ლაუგარდიც.
წყდება სულისთქმა... მხოლოდ ერთ ხრამში
დაცემულ ჯიხთან დგება ვაჟაპი.

წყდება სულისთქმა და იგი დიდხანს
გასცერის კლდეებს, საძოვრებს გაშლილს,
მაღალ მწვერვალზე მნათობი ჟინელავს
და მთები დგანან სხივების ლვარში.

მთებს ჟუვავილების პერანგი ფარავს;
 ირმის რძის ქაფში ნარეცხი თითქო,
 და მათ ფრიალო მკერდიდან მარად
 უონავს რძისა და შარბათის სიტკბო —
 გრძნობს ჭაბუკი და დიდი ხნის შემდეგ
 აჩეხილ ნადირს იკიდებს ზურგზე,
 წაიღებს, გავა ციცაბო კედლებს
 და შორ შანძილზე გაშლილ ჯოგს უმზერს—
 უმზერს და ჯოგთან მეგობარს ნახავს,
 რომ უდგას მაღალ კლდეების ჯებირს.
 გზას უხვევს. ავა ლორმიან ალმართს,
 მერე უძახის: — ბეჭირ!... ჰაი, ბეჭირ!...
 გაექანება ბეჭირ მოძმისკენ,
 მივა, ეხვევა აღტაცებული:
 — ყოჩალ, ძმავ ჯახუ! ჯიხვი მოგიქლავს,
 ნადირობაშიც სჩანხარ ქებული!

ჯახუ

ერთხელ შეც ვსინჯე საჯიხვის ნახვა,
 მივბაძე კლდეზე გაწაფულ მაჯინს,
 ვესროლე ჯიხვს... დაეცა ახრას,
 წამოიშალა ცინცხლები კაჟის.
 დავბრუნდი. მინდა, როგორმე ახლა
 ტობავარჩხილთან ავზიდო იგი...

ბეჭირ

ტობავარჩხილთან? რას ამბობ, ჯახუ,
 იქ რა საქმე გაქვს? უთუოდ მიკვირს.
 ამბობენ: იმ ტბის ტალების კანკალს,
 ხელი რომ ვახლოთ, იცვლება დარი.
 ტყის მეფე ბრაზით ადგება, დაჰკრავს,
 მთებს გადათელავს სეტყვა და ლვარი.
 ცოლუობენ ვდომ?

ჯახუ

ცრუობენ, ბეჭირ,
 ვინ ნახა შეფე ოქროსთმიანი?
 როდის თელავდა ქედების გრეხილ
 წარლვნადმოსული სეტყვის თქრიალი?
 დღეს ერთი კვირა გადის მას აქეთ,
 რაც დავაყენეთ ტბასთან ნახირი...
 მშვიდად ვართ. გვადგას მზე. მოქათქათე,

ჩვენ წინ კამკამებს ტობავარჩხილი.
და ხშირად ტბაში კალმახებს ვიჭერთ,
ნაპირზე ბალასს სძოვენ ძროხები;
რას დაგვიშლიდა არტელის ბიჭებს
ეს ლეგენდები ოხერი!

ბეჭირ

ეგ მწამე... მიხვდები, რაც მინდა კიდევ
და თქმა საჭირო მგონი არც არი;
როდის იქნება თქვენს რიგში ვიდგე,
აღსრულდეს ჩემზე შენი აღთქმანი,
რომ გავიმართო წელში თამამად,
ვხარობდე თქვენებრ, ძვირფასო ჯაჩუ?...

ჯახუ

ბათია მიდის სოფლად ამაღამ
და ამოგვიტანს გარკვეულ პასუხს.
ენგურს ფონდაფონ გასცურავს იგი,
ბარში ჩამოვა შენე ბედაურით,
ჟეხედავს მწვანე ჯეჯილთა ბიბინს
და პლანტაციებს გრძნობით ჩაუვლის.
მივა ჩემ სახლშიც, გოგონას გულთბილს
მისცემს ამ ჯიხვის ბეჭედა და ბარათს,
მას დაჰყავს ქორის ბახალა უბით,
რასაც ორივე ვნატრობდით შარად.
შორსა ვარ. მთაში კონა ყვავილის
წარმომიდგება ქალის ლაწვებად,
მისი ალერსი ძარღვებს დამივლის
და ურუანტელი გულზე მაწვება!...
ხეალ კი, არტელში შენს მიღებაზე
დასვამენ საკითხს, იმსჯელებს სხდომა;
ჩაგაყენებენ ჩვენთან მებალედ,
ბაღს აგვიყვავებს საერთო შრომა.
გჯეროდეს, ბეჭირ, დრო არის გატყდეს
და აილაგმოს მტერი მუხთალი,
არ აჩნდეს მთების მაღლიან კალთებს
მგლის ნაკვალევი და ნამუხლარი.
მწარე ფიქრები ღვარმა წაილოს,
შენც ვაჟკაცურად ჩადგე ჩვენს რიგში!

ბეჭირ

ძმა ვიყო თქვენი, ჯახუ, ძმა ვიყო,
გადავიყარო გულიდან ნისლი.
ბათიამ უთხრას დედაჩემს ასე:
რომ მე ხელახლა ვიშობი ქვეყნად.
გამოიდარებს ჩემ ყოფნის ცაზეც
და გადაიღებს სუსხიან სეტყვას.
რომ მეც მოვილხენ... აგრძელებს ბეჭირ...
და ერთურთს ძმურად გასცდნენ ვაუები;
ყვავილთა ტბიდან მონაქროლ ზეფირს
სუნთქავენ მთების სილაჟვარდენი.
და შეარხის ქეჩო ველებმა;
კლდეზე შეშფოთდა რუ მოკამკამე,
მთიდან სხივები წყდება ნელნელა
და მზე ჭიუზე ხუჭავს წამწამებს,
შებრუნდა ჯოგიც, გასცილდა, გორაკს.
განვლო ველი და კლდეთა ნაშალი.
ძურე მოვარდა ქარი და მოაქვს
ლაჟვარდ სივრცეში ლრუბელთ ლაშქარი.
მოშეუის, ხვივის, — მთებს და ხეობებს
ეშის საშიშარ სტუმრის ძანილი.
შესაღამოვდა... ნაჩვევ ფერდობზე
მოდის ნახირი.

თავი მეორე

ვიწრო მინდორზე ჭევარტლიან კარავს
გვერდით დაჰყურებს ფლატე მაღალი,
ქარი კლდეებზე ფიქალებს ბზარავს
და დამსკლარ ლოდებს გააქვთ ჯახანი.
ღვას ვიღაც, უსმენს ლოდების ხრიალს,
ზერავს შებინდულ ლაჟვარდის ნაჭერს,
შფოთავს, ფიქრები ზენაქარს მიაქვს,
სახეზე შავი ლრუბლები აწევს.
წინ ჯოგიც მოდის, და მხოლოდ მაშინ
აღვიძებს მოხუცს ჯანყი ზღვაურის.
ღვას ბოლმით სავსე, შესცქერის ნახირს,
ძარლვებს ძლიერი ურუოლა დაუვლის.
ღვას, თითქო ამ ჯოგს შესჩივის ჩუმად
გულში ჩანთხეულ შხამის სიმწარეს....
ხბოები ბილიქს. ჩამოყვნენ უმალ,
ბეჭირიც გასცდა ჩაშლილ ფიქალებს

და გადაუდგა მოხუცი ველზე
მთიღან ჩამოსულ ლომგულა ყმაწვილს.
ჯერ გარინდული უცდის და შეძლებ
ქვლავ უბრუნდება ელფერი კაცის.
და ჰერითხევს: — ბიჭო, რა გითხა ჯახუმა?
რას მიპირებენ მე, საწყალ კოჩას?
რა მოაქვს ხევში წერაქვის ჭახუნს.
და წმინდა ტბასთან აღმართულ დროშას?!...

ბეჭირ

ეგ შენ თავს ჰერითხე...

კოჩა

მითხარი, ბეჭირ,
უკანასკნელად რად ბრაზობ ასე?
ვიზრუნე, ვჩეხე ნარი და ბეჭი.
და შეგაყენე მოწმენდილ გზაზე.
ახლა კაცი ხარ, ძროხებსაც გაძლევ,
გამომიზრდიხარ შვილივით, ბაბა...
მაგრამ შენ თვალებს აცეცებ განზე
და ვიღაც ქაჯოთან კავშირსაც აბაშ.
ვხედავ: აზრებში ბალლობ ჯერ კიდევ
და უცებ გხიბლავს მაცდურის ქურქი;
თორემ გამზრდელს რად გადაეკიდე,
როცა მას ყველამ აქცია ზურგი?
და შენც ჰელატობ?!...

ბეჭირ

ნუ მსჯელობ უქმაღ,
სჯობს სთქვა საქმეზე, მიხედო ძროხებს...

კოჩა

რად ლელავ! კოჩას შენ უნდა უთხრა; —
ავ უჩვევ ღლებს — რაც უნდა მოჰყვეს.
რა უნდა მოჰყვეს უშბაზე აჭრას?
ტობავარჩხილთან ცეცხლის დანთებას?
ბარში შემოსულ ტრაქტორის ლაწანს
და ჩემ უბედურ თავზე რაც ხდება?
ამას რა მოჰყვეს?!...

მაგრამ ბეჭირ სღუმს,

გრერდით დგას კოჩა გაფითრებული.

შესცეკრის კლდეებს ჯანღში შეხიზნულს

და შემზარავი მწუხრი ებურვის.
რა ქნას? ნაღველში იღრჩობა თითქო,
ტანდასუსტული და გულდამწვარი;
გამოსტეხია თავისთავს თვითონ,
რომ დაბნევია ტყეში გზა-კვალი.
ისიც გაეგო; ბეჭირს ჯახუსთან,
რაც საიდუმლო ჰქონდა ნათქვაში;
იცის, მის მუხლებს ქარი დახუთავს
და შეეყრება მკაცრი ზამთარი.
ძალრბილში ჩრდინაც უღვივის ბნელი,
რაღაც ტყის მეფის არის მსახური,
იმას მიანდო სიცოცხლე მთელი,
შეელას შესთხოვდა ზამთარ-ზაფხული.
დღეს ამ მეფესაც აეღო ხელი.
რომ დახვედრია ტბა შელახული.
და დაძრწის, წარღვნას მოელის ქვეყნად,
უნდა დაფუშვნასო ხმელეთი ღვარმა.
ტბას არტელი ფლობს და კოჩა ეხლა
შურისძიების სურვილმა დაღრღნა.
ეტუთვის სული და თვალწინ ბოლავს
ბრნდგაუყრელი მრუმე ნახშირი,
უმზირა დიდხანს, ეჩვენა ბოლოს
მზის ჩასულას მოჰყვა კერძო ნახირი.
ნეხირში ბეჭირ იღვა ფურებთან,
ბეჭირთან თითქო რიურაუიც იდგა, —
ძროხის ცურიდან შუქს ასხურებდა
და მზის სხივებით გაევსო ნიგა.
საძოვრებს ადგა სინათლე რძისა,
მდგარი ფიჭვებიც სუნთქავდნენ ერბოს,
ნაძვის ტოტიდან ნაკმევი ფისი
ეწვეთებოდა კარავის ერდოს.
შებრუნდა ბეჭირ, და ახლაც თითქო
ესმის ძანილი მომშე არტელის.
გულში ჩაუდგა გრძნობების სითბო
და ლრმა აზრების კორიანტელი.
მაგრამ უეცრად მოაწვა ბოლშაც,
შურისძიება მოსწყურდა ყმაწვილს.
გასტეხეს ასჯერ... წამოდგა ლორლზე
და ახლა ბილიქს ხმლებითაც გასჭრის.
გარეთ ქარი ქრის. მთიდან დამსკდარი
დიდი ლოდები ლრანტეებს ანგრევს;
ცაზე ტრიალებს ელვის ხანჯალი

და მეხი ლეჭავს ბუმბერაზ ნაძვებს.
კოჩა დგას. ბექირ ენთება უფრო,
გული ეძახის თავის მოძმისკენ,
დგას და შეჰყურებს ერთმანეთს უხმოდ
ორი მოსისხლე...

თავი მესამე

ბნელა. რა კუპრის ღამე ჩამდგარა,
ინთევა წვიმა კოკისპირული,
მთა ხვივის, წყდება ნაპრალს ნაპრალი
და გრიგალის ხმა ისმის გმირული.
ბელა. ხანდოხან ციცნათელებად
გამოაშუქებს ღრუბლებში ელვა,
იჟექებს მეხი ნაძვის ხეებთან,
ცეცხლი ჩაჰქრება და ისევ ბნელა:
ო, რა ღამედ. ბინდი თხერი
ყორნის ფრთებივით აწყდება ხრამებს.
წვიმს. დასცურავენ ლვარში ძროხები.
და ყრუ წკარამში ბლავიან მწარედ.
წვიმს. ამ წვიმაში ჰერთის ნაკვერჩხალი
და ხის ნალეჭზე წამოდგა ვიღაც,
ხედავს: წინ ძროხა ძევს ნამეხარი,
და გაშმაგებით დასცერის დიდხანს.
— ოჯ გასკდეს გული!... — აღმოხდა შემდეგ.
მთამ შეუბრუნა: — ოჯ, გასკდეს გული!!!
შეიჭრა ბინდში, არ უნდა შესდგეს,
აღრჩობს ღრუბელი გარშემორტყმული.
მაგრამ, სად მიდის, რას ფიქრობს მაინც?
ასეთ წყვდიაღში გარეთ რას ეძებს?
რად გაიმეტა ერთბაშად თავი,
რომ გადიჩეხოს საღმე ფლატეზე?
მიჰქრის, თითქოს ქვა მოსწყვიტა ქარმა,
ჩამოახეთქა ხრამიღან ხრამზე;
ზოგჯერ ლოდებზე დარეკავს ყაშა
და გაუელვებს ბერდანი მხარზე.
ხელს რას მოავლებს... ლორლები მხოლოდ...
გზა დაუბინდავს ფრთოსან ღამურებს.
შიარლვევს ღამეს და, მის წინ, ბოლოს,
ტბიღან ტალღები გაიხმაურებს.
შესდგება მაშინ, პირჯვარს გადიწერს,
შუხლმოღრეკილი ლოცულობს დიდხანს.

შერე, ცეცხლს ნახავს ტბის შორნაპირზე
 და გადასცდება კაცობის მიჯნას.
 მიჩნა... ვინ იცის, რა უნდა ცეცხლთან?
 რაზე სჭირდება ბინა არტელის?
 რად მისუა თავი მერეხს და სეტყვას,
 რომ გადმოევლო მოები ამდენი?
 ან ამ ჩეგემზე სიჩრბილს რად ბეღავს?
 რად მიაქვს თოფი შეყენებული?
 ის ამ წყვდიადში რას ფიქრობს ნეტავ?
 რა აქვს მიზანში ამოღებული?
 ვინ არის იგი?! ო, ჯახუს ქოხთან
 მიიჭრა კიდეც და ჩადგა კოხში,
 ჩადგა ბინდში და ქარივით შთოთავს,
 და იხედება უკარო ქოხში.
 ჯახუ დგას, ხბორებს კერასტან ათბობს,
 ლალარზე შხივის ჯიხვის მწვადები,
 გაუქაცს სახეზე სხივები ათოვს,
 ჰყვავის ფიქრები გულში ნადები.
 მღერის ღლევანდელ ბეღნიერ დროზე,
 თითქოს უვიან ბანზე მერცხლები,
 თითქო ბულბული ზოს აყრილ შტოზე,
 და ვარდებს სცვივათ მზის ნაპერწყლები....
 გარეთ წვიმს. ჯოგი ეხვევა კარავს,
 ჩამოწოლილა ღამე. უკუნი;
 ძალლი სდუმს. ტბიდან ღელვის ხმას ფარავს
 ქარის ზუზუნი.
 და დაჭრა: — ჯახუ, ხელები მალლა!....
 ვეღარ წამიხვალ, თავს ვეღარ იხსნი!..
 — ჰეი, კოჩა ხარ?!.
 — ხელები მალლა!
 ვინც ვარ, დღეს სისხლი მწყურია... სისხლი!...

ჯახუ

კოჩა, ნადირო!... აქ მოვკვდე თუნდაც,
 სცავები უნდა ამოწყდეს მაინც;
 დღეს ვისმენ თავის სამარის გულთან
 უკანასკნელი ყორანის ჩხავილს.
 ვარ კოლმეურნე! სიკვდილსაც ისე
 გმირულად ვხვდები, წოვორც სიცოცხლეს;
 მოვკვდე?!.. ამბავი დარჩება გმირზე
 და ათასი ძმა ხელს გამიწოდებს!...

თქვენ მთა წაბილწეთ.... წმინდათა წმინდა
ტბაც წაგირებინიათ, ჯიხვსა კლავთ ეხლა;
ღვთიურ ცხოვრების დანგრევა გინდათ
და ლამის მოგვსპოს ღვარმა და მეხმა.
მე ხაფანგს მიგებთ... ერთგულ მწყეშს
მართმევთ,

ჯოგს მართმევთ, მღუპავთ, კერას მიცვებთ;
განრისხდა ღმერთი... მეც სისხლი მმართებს
და შურს ვიძიებ!!..

ჯახუ

ვერა, ვერ იზამ!... და ხანჯალს სტყორცნიშ.
მაგრამ, მტრის თოფმაც იჭექა უცებ...
გმირს ტყვიამ მკერდზე აგლიჯა ხორცი,
და ვეფხის ღონე ჩაუქრო მუხლებს...
ჯახუ წაიქცა!.. შეშფოთდა ღამე,
ველურ ჩონგურებს დაუწყდათ ლარი,
ცრემლების წვიმა გადოსკედა ხრამებს
და აქვითინდა მინდორზე ქარი.
სულს ღაფავს იგი. იღვრება სისხლად....
გამობხიზლდება... ძალას ვერ იკრებს,
ჟინმე მომვლელი მაინც რომ მისცა,
სულისთქმა მთლად არ შეუწყდეს იქნებ,
მილიონების ძმობილი იყო,
კომკავშირელი, ქედმოუხრელი.
და მთაში მარტო დაეცა, თითქო
განცალკევებით მდგარი ურთხმელი.
სადა ჰყავს ერთიც, რომ იხსნას იგი,
და დუშმანს ჩასცეს მჭრელი მახვილი?
სადა ჰყავს! — ქარი ქვითინებს ირგვლივ,
ძალი ყმუის და შფოთავს ნახირი....
...და ტბის ნაპირზე დგას მუხანათი,
სისხლი სდის ტანზე, ეკერის ხალათი.
ჩანს ჯახუს მიერ გამიზნულ ხანჯალს
შეულეწია გულისფიცარი;
დაძრწის ბურანში და უღვთოდ ტანჯავშ
ტკივილი მწველი და მოსისხარი.
დაძრწის.. თვალები შეაპყრო ტბაში
და სასწაული ეჩვენა მაშინ:
— ტბა დაისარტყლა, შუაზე მცირედ

ლაუგარდის კარი გაიღო თითქო;
 წყლიდან წამოდგა მზიური ცირა,
 მთებს დააყენა ჩხანა და სიობო.
 არ უტყდება ტბა, და წყლის მინაზე
 გასრიიალდება სახე ციალა;
 კოჩას აღუდგა უცხო სინაზე,
 და ოქროს თმები შეაშრიალა.
 კოჩა ცახცახებს: დიადო მაფავ,
 რად გავხდი შენთან შეხვედრის ლირსი?
 მე, კოლოს ღვთისკენ დამჩემდა სწრაფვა,
 რომ ამეცდინა წყვდიადი მქისი.
 რა ვქნა? დამალრჩო ბოლმამ და სისხლმა,
 ურწმუნოებმა დამჯაბნეს ასე;
 დიდო ტყის მაფავ! შენა გთხოვ მიხსნა
 და შემაყენო შეჩვეულ გზაზე!!!.
 ... ო, ტბისკენ მიხმობ, მეუფევ დიდო?!... —
 და მისდევს... წყალი მაფას არ ძირავს...
 კოჩა ყელამდე ტბაში დგას თითონ
 და არსად არ სჩანს მზიური ცირა.
 სჩანს მხოლოდ: მთები, წყალი და ბინდი,
 უსაზღვროება დანისლულ ცისა,
 კოჩას გულმკერდზე თარეში ზვირთის
 და ტბის ნაპირზე დაყრილი ქვიშა.

თავი მეოთხე

ვოდაცას კვარი მოჰჭონდა ბინდში,
 გზას ვერ უკრავდა კოხი და ქარი,
 ველზე შეჩერდა, მოაწვა სისხლი
 და დაანარცხა მიწაზე კვარი.
 შევრთა... ლოდებში ენახა სადღაც,
 თურმე ხანჯალი წვერსისხლიანი,
 და შექრთა, როგორც შეაკრთობს ვაჟკაცს
 თვალშინდარტყმული მეხის გრიალი.
 კარავს მიერადა... მოესმა გმინვა,
 და ცივ ძარღვებში ჩაუდგა ცეცხლი.
 რას ხედავს?... ლამის დაალრჩოს ჟინმა,
 ვერ გადაუდგამს მინდორზე ფეხი.
 — ვაიმე, ძმაო!.. ბეჭირ მოგიკვდეს....
 ზერცვენილ ჭაბუქს გამისკდეს მიწა.
 ლამევ, სად მყოფი სად გამოგვრიყე?
 სად შეგვაჩეხე ხავსიან ფიწალს?

სად გადაგვტყორცნე?.. რა იყო გუშინ?

წუთიც გვმატებდა იმედს და გარჯას...

იცოცხლე, ჯახუ, თორემ ჩემ გულში

ჩემივე ხელით ჩავიცემ ხანჯალს.

— იცოცხლე, ჯახუ!... — ამბობს და მკერდზე
დაპკონებია ძმობილს ძმობილი,

ღაჭრილს პასუხის ძალა ვერ შესწევს,

გმინავს მიწაზე პირდამხობილი.

აწვიმს, წყლულიდან სდის სისხლის თქეში,
გულმკერდი მღვრიე თალხმა ღაპთარა.

ატირდა ბექირ, — მდუღარე ცრეშლში
ხავსითმოცული ქვები ღამდნარა.

ატირდა იგი, ღაიბნა ერთხანს.

მაგრამ კვლავ შუქი დაადგა უკვე.

ჯახუს კარავში დააწვენს ცეცხლთან,
უვლის, ჭრილობას სათუთად უხვევს.

მერე მუგუზალს იღებს და გარეთ
კაცის ნაკვალევს დაეძებს ფრთხილად,
მოწოლილ ბოლმას წყვდიადში გარევს,
ბილიკებს თვალის ისრებით ცხრილავს.

კვალს ნახავს, ვიწრო ბილიკსაც ნახავს,
გაპყვება მას და გაივლის ველებს.

მის წინ ტბა დასცემს ტალღაზე ტალღა
და ყრუ გუგუნით აწყდება ხმელეთს.

იქუხებს, ღაპრავს, და ერთ მარჩხაზე

გამოაშუქებს კაცის ლანდს ელვა,

ქარი აბორცვილ შუშებს ჩაამსხერევს

და ჯეჯილოვან ტბის სივრცეს თელავს.

წამოიშევა ეს ლანდიც მაშინ.

ველზე შეამჩნევს მუგუზლის ციალს,

მძლავრი ცახცახი დაუვლის ტანში,

ხმელეთისაკენ თავი ძლივს მიაქვს.

— ეს ვინ იქნება?! — ბექირს აკვირვებს,

ტბისკენ მიიწევს სულშეხუთული;

დააშტერდება მღვრიე ნაპირებს,

დიღხანს მოესმის კვნესა უძლური.

— ვინა ხარ? — კოჩა გამოჩნდა შემდეგ

წყლითგალურსული, სახელმწერარი;

სისხლს დაეფარა ჭრილობა მკერდზე,

კბილებს ამტკრევდა კბილზე კანკალით.

გამოლეოდა სახსრებში ღონე,

ვერ გაემართა ბებერი მუხლი,

თითქო ეჯიჯგნათ საშინელ ყორნებს,
ჩაბუდრებია თვალებში მწუხრი.
გული შემდგარა. დამშრალა სისხლი.
გაშეშებია ჭრილობაც შასთან.
შეიზრიალა ნერვებმა რისხვით,
ძარღვებიც დასწყდა...
და შებარბაცდა... დამსკდარმა მიწავ
ფეხებქვეშ ოდნავ გაიღო ჩქამი,
აუღერდნენ ქვებიც, მერმე ხმა მისწყდა,
შეოლოდ ჩხრიალი ისმოდა ხრამის.
ქარს გადაჰქონდა ღრუბლები მთვლან,
წალებოდა წვიმა, დარი დგებოდა,
იშმუშნებოდა მინდვრები მშვიდად,
ლაუგარდს ცისკარი წაჰკიდებოდა.
გზა გადაეჭრა მთვარესაც უმალ,
სერამდე უკლდა ერთი მტკაველი,
მაღალ კორტოხზე ცვიოლნენ ჩუმაღ
ცის ვარსკვლავები მოკამჭამენი.
მერე აისი ყაყაჩის მსგავსად
იფურჩქნებოდა სუფთა ლაუგარდზე,
ჩემომსხდარიყვნენ ბულბულნი ტბასთან
და ამ განთიადს ხოტბას ასხამდნენ.
მაგრამ რა იქნა?... ბეჭირ დგას ისევ,
რძიან სახეზე აწევს ღრუბელი.
ასდევნებოდა კვალს ღია ცისქვეშ
ერთი ვაუკაცი ქელმოუხრელი.
უნდოდა მტერთან ხმალდახმალ შებმა,
დაჩეხვა სურდა მგლისამებრ მისი.
მოტყუცდა... დუშმანს ძალმიხდილს შეხვდა
და ამღვრეოდა ძარღვებში სისხლი.
საღ წასულიყო? დაელრლა ფიქრებს.
გადმოსდგომოდა თავზე ცისკარი,
სწყუროდა ბრძოლა და მტერი პირქვე
ეძხო სიკედილის კარზე მიმდგარი.
მერე შეატყო: აღმოხდა სულიც,
დაეპატრონა წყვდიადი სრული.
შებრუნდა ბეჭირ, ნაჯიხვარ შარას.
ტანდასეტყვილი დაადგა მძიმელ.
კრთოდა... ვინ ყავდა ამ მთებში ფარად,
ვისთან ხედავდა სიცოცხლის იმედს...
მისდევდა გზას და ჩონგურის გვარან
აჭახჭახებდნენ შაშვები სიმებს.

მლეროდნენ მთების შორს საამურად
 ტყე უღარუნებდა სიცოცხლით სავსუ.
 მლეროდნენ ველი და შზის ალმური
 მოლაულაუებდა მყინვართა თავზე.
 და იდგა ბექირ რიურაუში მაშინ,
 გადაეყარა გულიდან ნისლი.
 ეგრძნო: გამტყდარა სუსხიან დარში
 სუნდები მისი.

თავი მიხუთა.

ველზე ფაცხა დგას, აქეთდაიჭით
 გაფანტულია ჯოგი ხვადაგთა.
 ველზე დგას ფაცხა და ჩელტებს შიგნით
 წევს ფერმიხდილი ჯახუ ლადართან.
 გული წასვლია... დასისხლულ მკერდზე
 გადმოუწყვია ჯმუხა ხელები,
 ტანში განძრევის ძალა ვერ შესწევს,
 ალარც არავინ უდგას მშველელი.
 მარტოდმარტოა... მფარველად თავზე
 დასჩერებია მხოლოდ ეს ძალი;
 სიმწარის ოფლი კისერში ჩასდევს,
 სახეზე ადგას მწუხრი და ჯანლი.
 ახლა წევს... დღემდე ტოლებს რამდენჯერ
 აქ შესწრებიათ ტკბილი რიურაუ,
 კომკავშირზე და მთების არტელზე
 ხოტბის მომლერლად მდგარან გიუმაუნი.
 ახლა ხვისთაზე მარტო წევს ასე,
 მზეს დაულვრია კარავში შუქი,
 გარეთ მთებს ეშიოთ ჩაუცვამთ ტანზე
 ვეფხისტყავისებრ ნახატი ქურქი.
 გარეთ ფურები ფეხზე ამდგარნი
 ხბოებს უხმობენ დასახემსებლად.
 მერე სხვა ჯოგის დიდი ლაშქარი
 შავ ლრუბლებივით მინდორს ესევა.
 ამდგარა ბექირ, ამ ჯოგს მოდენის,
 ძროხებს მზე ადგათ ულრან თვალებზე,
 რქები ჰქონიათ მუხის ტოტების
 და მუხნარივით მოშრიალებენ.
 დადგა ორი ტბა. ტბებშორის მიჯნად
 მდგარი მთა, თითქო ვაუმა გათხარა,
 და შეუერთა ჯოგი ჯოგს დინჯად,

ჯოგმა გაშლილი ველი დაჭთარა
კოჩას ძროხები აქუხდნენ მაშინ,
დამხთურნიც პასუხს აძლევდნენ მქუხარს;
რქა გაუყარეს ხარებმა რქაში,
ველზე ჯიხვივით გავარდნილ ბუღას.
გაჩნდა ჭიდილი... ბეჭირ კი ძმობილს
დასტრიალებდა კარავში იქვე;
მერე გარეკა მინდვრებზე ჯოგიც,
შემოუბრუნდა მეგობარს ისევ.
მზის გადახრამდე დარობდა ვაჟი
ავადმყოფის და ნახირის მცველად;
მზის გადახრისას გახედა მთაში,
თვალი შეაქრო ცხენოსანს ველად.
იცნო ბათია, ლაშვედა გზაზე,
აძოშურდულდა მხედარიც უმალ.
უნაგირიდან ჩამოხტა მარჯვედ,
და გადაჭკოცნა ჭაბუკი ძმურად.
— იხარე ბეჭირ — უთხრა ლიმილით, —
კოჩას ლაგამი მოვსდეთ ძლიერი;
შენ კოლექტივის წევრად მიგიღეთ,
ამიერიდან ხარ ბეღნიერი.
შეხედა... ბეჭირ აცრემლდა უხშოდ:
— ნუ მძრახავ, ქედი ბედს მოვუხარო,
რამ გამახაროს არტელზე უფრო,
მაგრამ დღეს ჯახუს დაჭრას ვწუხვარო.
— ჯახუს დაჭრასო? — და ქოხში გაჩდნენ,
შეხედეს ძმობილს, დასწყიდათ გულები,
ატირდნენ, დიდხანს მდუმარედ დარჩნენ,
იდგნენ და სწუხდნენ დაუსრულებლივ.
ჯახუმ თავი ძლიერ ასწია, შემდეგ
ნაბაღს ჩაბლუჯა მთრთოლვარე ხელი,
შედრეკა... დაეცა ნატყვიარ მხრებზე.
სხეულში იგრძნო ტკივილი მწველი.
აღმოხდა: — ძმებო, ნუთუ დამიშლის
თქვენთან სიცოცხლეს ეგ ნატყვიარი?...
— ვერა, ვერასგზით, რა გაქვს საშიში,
ვეფხი, სულ ვეფხი არის ბწელიანი. —
უთხრეს და ცოლის მონაწერ ბარათს
ჯახუმ ხალისით მოავლო თვალი,
გული აენთო ჩირალდნის გვარად
და თვალბარჩხალა ალუდგა ქალი.
აღუდგა ყრმობის დღენი ნათელი,

გარის სითბო და ლივლიერი ყანის,
მერე ეს მთები და წუხანდელი
ველური შეხლა თოფის და ყამის.
ბექირ ყვებოდა: — კოჩა ხომ დიდად
გამშურალი იყო თქვენი არტელით,
თავს რაღაც მაფას მსახურად თვლიდა,
ტბას მფარველობდა მისი სახელით.
წუხელ აბლავლდა: მოდის რისხეა,
მთელი მილეთის ხალხთა წამროვნელი.
გამომპარვია... ცუდის იზამს-მეთქი, —
გავითიქრე და კადი ნაკვალეს.
ვსდიე... იგი ტბას ჩაეგდო ყბებში,
ამბოხებული ზეირთი ყლაპავითნენ.
აცოძვრა, ველზე ჩაძალლდა მარტოდ;
ჯახუს დაეჭრა, მე როგორც ვატყობ...
და განაგრძობდნენ: ამ უბრალო ტბას
რად მიენიჭა ლვთაების ძალი,
თუ ადამიანს რად გვრიდა კანკალს,
რომ გაერლვია მითების რკალი?
ტბაში მეუფეს თუ როგორ ეპყრა
სეტყვა და მეხი ძლიერი ეგზომ.
და თუ მოხუცი დევნილი ქვეყნად
ამ ზღაპრულ ძალებს რარიგად ენდო.
ასე თქვეს: ლვთის და ხანჯლის წინაშე
ჩაკვდაო მტერი სისხლისგან მთვრალი..
დგასო: არტელი სხივთა წვიმაში,
გვაქვსო: უსაზღვრო მიწა და წყალი.
წამოღვნენ... ტბასთან მთამსვლელთა მიერ
დასმულ ბაირალს შლიდა ნიავი;
მზე თხემზე იდგა და ოდნავ მღვრიედ
ილვენთებოდა შუქი რძიანი.
ტბა წკარუნებდა, ნაპირზე ხარბად
დასწავებოდა წყაროს ნახირი;
ტბა წკარუნებდა და უტკბეს შარბათს
ჰევდა ეს ვრცელი ტობავარჩხილი.

ნიკოლოზ გეორგი

I.

შჩორსის პირველი რაზმი უმთავრესად მუშებისაგან შესდგებოდა. რაზმი ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შესდგა. შჩორსის პირველ რაზმს სემიონოვკის რაზმი ეწოდა, რადგან რაზმი დიდ სამრეწველო სოფელ სემიონოვკაში ჩამოყალიბდა. შჩორსმა მკაცრი დისციპლინა შემოიღო.

— მტრებთან საბრძოლველად მარტო სურვილი როდი კმარა, — ამბობდა შჩორსი: — საჭიროა შეგნებული და მტკიცე დისციპლინა!

მტერი კი — გერმანელი ოკუპანტები — უკვე შეჭრილიყო უკრაინაში. დაიწყო ბრძოლა. იმ დროს ბრძოლა უმთავრესად რკინიგზის ხაზზე სწარმოებდა, რადგან გერმანელები რკინიგზით მოდიოდნენ. შჩორსი მიხვდა, რომ რკინიგზაზე მტერს ვერ გაუმჯობესდებოდა. ამიტომ პარტიზანული ომი დაიწყო და მტერს ზურგში მოექცა. პირველი ბრძოლა კიევის დაცვისათვის გაიმართა. აჯანყებულმა ხალხმა კიევიდან მოლალატე ნაციონალური რადა გარეკა. მკაცრი იყო ბრძოლა. აჯანყებული ხალხი თავს არ ზოგავდა თავისი საბჭოთა სამშობლოს დასაცავად.

1917 წლის აპრილს უკრაინა უკვე გერმანელ დამპყრობელთა ხელში იყო. რუსეთსა და უკრაინას შორის ნეიტრალური ზონა შეჰქმნეს. ერთხანს დონის მაღაროებში ქვლავ გრძელდებოდა გმირული ბრძოლა ოქტომბრის რევოლუციისათვის, მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის და საბჭოთა სამშობლოსათვის. ამ ბრძოლას სათავეში ედგა ლუგანსკის ქარხნის ზეინკალი კლიმ ვოროშილოვი. ბოლოს, ვოროშილოვმაც დაძრა თავისი ნაწილები აღმოსავლეთისაკენ.

გერმანელები დამკვიდრდნენ უკრაინაში, გადააგდეს ცენტრალური რადა და ხელისუფლება გენერალ სკოროპაზის გადასცეს.

საბჭოთა რუსეთის საზღვართან, სადგურ უნეჩასთან, შჩორსმა თავი მოუყარა თავისი რაზმის გადარჩენილ მებრძოლებს. სულ ოცდაათი მეომარი და ოღმოჩნდა.

— ამხანგებო, — მიმართა შჩორსმა მეომრებს, — დაიშალენით, დაბრუნდით თითო-თითოდ უკრაინაში და შეასრულეთ შემდეგი საბრძოლო დავალება: ყოველმა თქვენგანმა თავის ქარხანაში, თავის სოფელში შეადგინოს თითო ასეული და გაწვრთნას იგი მომავალი ბრძოლისათვის. ჩქარა დადგება დრო და თქვენი ერთეულებისაგან შესდგება მუშურ-გლეხური წითელი არმია. ეს არმია გაანადგურებს და აღვის მტერს ჩენი მიწაწყლიდან. გწამდეთ, ჩენია მომავალი!

შჩორსი გამოემშვიდობა ყველას. რამდენიმე მეომარი კომუნისტი კი თან გაიყოლია: მოსკოვში სამხედრო ინსტრუქტორების კურსებზე მივაბარებ, მომავალი არმიისათვის დაგვჭირდებაო.

და შჩორსი გაემგზავრა მოსკოვს ლენინთან მოსალაპარაკებლად.

2.

ამ დროს შჩორსის სახელი უკვე განთქმული იყო. ლენინმა მოისურვა მისი და მისი ამხანაგების პირადად გაცნობა. შჩორსი გამოცხადდა კრემლში. მუდამ თავდაჭერილი, მტკიცე და ძლიერი ნებისყოფის შჩორსი შოსაცდელ ოთახში გულის ფანცქალით მოელოდა დიდი ბელადის ნახვას. დიდხანს როდი მოუხდა ლოდინი. ლენინის მდივანი ჩქარა გამოვიდა და უთხრა, ლენინი გიცდისო.

შჩორსი რომ კაბინეტში შევიდა, ლენინი ადგა, ახალმოსულებს თავისი მომხიბლავი, მოლიმარი თვალებით გადახედა და ყველას ხელი ჩამოართვა.

— გამიგონია, გამიგონია თქვენი ამბავი! — უთხრა ლენინმა შჩორსს და მის ამხანაგებს. — აბა, დაჯექით და მიამბეთ უკრაინის ამბები.

დასხდნენ. მხოლოდ შჩორსი დარჩა ფეხზე. დამჯდარს არ ემარჯვებოდა ლაპარაკი.

ძუნწი, მაგრამ ძლიერი სიტყვებით გადასცა შჩორსმა ლენინს განვლილი ბრძოლების ამბავი. ლენინი დიდის ყურადღებით უსმენდა, გზადაგზა იწერდა კიდეც: ბრძოლის სიძნელები, პარტიზანელთა ცუდი შეიარაღება, სუსტი დისციპლინა, გმირული ბრძოლები. უკრაინელი შჩრომელები შველას მოელიან ბოლშევიკებისაგან, უკრაინაშიაც უნდა შეიქმნას წითელი არმია...

წითელი არმიის ხსენებაზე ლენინს თვალებმა გაუელვა. იგი დაუკვირდა შჩორსს. იგრძნო შჩორსმა ეს დაკვირვება. იგრძნო ისიც, რომ ლენინს მოეწონა.

— დიალ, დიალ! წითელი. არმია! — ჩაილაპარაკა ლენინმა. — ეგა სწორედ საჭირო.

ლენინმა კაბინეტიდან გასცლისას შჩორსს უკვე ნათელი წარმოდგენა ჰქონდა არა მარტო თავის მომამავალ მუშაობაზე, არამედ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკაზედაც.

მოსკოვში შჩორსი დიდხანს არ დარჩენილა. პარტიამ იგი აღმოსავალეთის ფრონტზე გაგზავნა. იმ დროს, 1918 წლის ზაფხულს, აღმოსავალეთის ფრონტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციისათვის. კონტრრევოლუციამ ხელთ ჩაიგდო ვოლგის სანახები, ურალი და ცამბირის რკინიგზა. დიდი დახმარება გაუწია თეთრგვარდიელ კონტრრევოლუციონერებს აჯანყებულმა ჩეხო-სლოვაკელთა კორპუსმა. კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად რევოლუციამ საუკეთესო ძალების მობილიზაცია მოახდინა. შჩორსი გმირულად იბრძოდა ფრონტზე და იმავე დროს თვალყურს აღევნებდა უკრაინის ამბებს.

უკრაინიდან კი მეგობრები ხშირად სწერდნენ წერილებს.

ძველი მუშა, ამხანაგი ბოჟენკო, სწერდა შჩორს:

„უკრაინა დრტვინავს. 7 ივნისს მუშებმა ეისკიდან ტაგანროგს დიდი დესანტი გადასხეს. სამ დღეს გაგრძელდა ბრძოლა გერმანელებთან. დესანტი დამარცხდა, თუმცა თავგანწირვით იბრძოდა. 700 კაცი დაეცა ბრძოლის ველზე. სამიათასი ტყვედ ჩავარდა და დახვრიტეს. სიკვდილის წინ ამხანაგები მღეროდნენ. შეიძყრეს 70 სათხოების და, ტანკისამოსი გახადეს ზღვის პირას ფლატეზე დააყენეს და ზღვაში ჩახტომა უბრძანეს. ჭალები რომ ზღვაში გადახტნენ, ნაპირიდან ტყვია დაუშინეს. მხოლოდ ერთი ქალი გადაჩრა. იგი ცურვით მიმავალ დესანტის ნაცს დაეჭია... ტაგანროგის კომენდანტმა ბრძანება გამოსცა: „დახვრეტილი იქნება ყველა, ვინც ბოლშევიკს ინახავს“. მოთმინების ფიალა იცხება. ჩეარა იფეთქებს უკრაინა.“

სრულიად უკრაინის რევკომმა 1918 წლის 22 სექტემბერს ბრძანება გასცა: ნეიტრალურ ზონაში შეკრებილი ცალკეული რაზმებისაგან ორი რეგულიარული საბჭოთა დივიზია შეიქმნასო. შჩორსი დანიშნეს პირველი საბჭოთა დივიზიის მეთაურად.

დაიწყო. გმირული ბრძოლა უკრაინის განთავსუფლებისათვის.

3.

შჩორსმა პირველ ბრძოლებშივე სასტიკად დაამარცხა გერმანელები, და ნეიტრალურ ზონაში დაბრუნდა. გერმანელებმა იყადრეს შუმავლის გაგზავნა შჩორსთან. შჩორსთან გამოცხადდა გერმანელი ოფიცერი თარჯიმინის თანხლებით და უთხრა: საზავო ხელშეკრულებას რატომ არღვევო.

— უკრაინელ აჯანყებულებს გერმანელებთან საზავო ხელშეკრულება არ დაუდივათ, — უპასუხა შჩორსმა. — შეგიძლიანთ თქვენი პროტესტით სკოროპადსკის მიმართოთ.

გერმანელი ოფიცერი გაბრაზდა, უკადრისი სიტყვები იქადრა.
შჩორსმა უთხრა თარჯიმაშს:

— გადაეცით ბატონ ოფიცერს, რომ სამივე პოლქს გავანადგურებთ, —
თუ ზრდილობიანად არ დაიჭირა თავი.

— ოფიცერმა მოგახსენათ, — უპასუხა ცოტა ხნის შემდეგ თარჯიმან-
მა, — რომ გერმანელების სამი პოლქი მზად არის თქვენ წინააღმდეგ და
ნიშანს უცდისო.

— გადაეცით ბატონ ოფიცერს, რომ სამივე პოლქს გავანადგუ-
რებთ, — უპასუხა შჩორსმა ცივად.

— ბატონი ოფიცერი ლრმად არის დარწმუნებული, რომ ეგ არ მოხ-
დება, — გადაუთარგმნა თარჯიმანმა.

— რასაკვირველია, თუ გერმანელები ახლავე აიკრავენ ბარგს ჩვენი¹
სამშობლოდან, — დასკინა შჩორსმა .

ოფიცერი გაწითლდა. თარჯიმანმა ასე მოახსენა შჩორსს:

— ბატონი ოფიცერი გთხოვთ, თავი დაანებოთ ხუმრობას. ასეთი
ხუმრობა, ბრძანებს ოფიცერი, უსაფუძვლოა, რადგან ბოლშევიკებს ცო-
ტა ჯარი გყავთ.

შჩორსმა ჩაიკინა და უთხრა:

— გადაეცით ბატონ ოფიცერს, რომ მან არ იცის საქმის ვითარება...
ოფიცერი მიხვდა შჩორსის სიტყვის აზრს. იცოდა ოფიცერმა, რომ
მთელი უკრაინა აჯანყებულ ბანაქს წარმოადგენდა, რომ საქმარისი იყო
შჩორსის დივიზია ხელახლა დამრულიყო ნეიტრალური ზონიდან და
აჯანყება იფეთქებდა. აჯანყება რომ ფაქტიურად უკვე დაწყებული იყო,
ეს ოფიცერმა იცოდა: ყოველდღე იმსხვრეოდა გერმანელთა მატარებლები,
რომელთაც პური და მაღანი გაჰქონდათ უკრაინიდან, ყოველდღე აფეთ-
ქებდნენ რკინიგზის ხიდებს, ყოველდღე ესხმოდნენ გერმანელ ჯარს პარ-
ტიზანები.

4.

გერმანიაში რევოლუცია მოხდა. შჩორსმა გერმანის რევოლუციის
ამბავი გერმანის ჯარს აცნობა. ლენინისაგან შჩორსმა დეპეშა შილო:
გერმანის ჯართან ერთად სკორპარსკის წინააღმდეგ გაილაშქრო.

შჩორსი დატრიალდა. მაშინვე აფრინა დელეგაციები გერმანელთა
ჯარში. იშოვა გერმანული ენის სახელმძღვანელო და შეისწავლა სახელ-
ჯარში. იშოვა გერმანული ენის სახელმძღვანელო და შეისწავლა სახელ-
ჯარში, თუ როგორ უნდა მისალმებოდა გერმანელ ჯარისკაცებს მათ-
დასხელოდ, თუ როგორ უნდა მისალმებოდა გერმანელ ჯარისკაცებს მათ-
სავე ენაზე. 12 ნოემბერს შჩორსის შტაბში, უნეჩაში, მოხდა გერმანელ
დელეგაციასთან შეხვედრა.

5.

უნეჩიდან შჩორსმა გერმანელ დაპყრობელებს კვალდაკვალ მისდა:
გერმანელები სცლიდნენ უკრაინას, შჩორსი აყალიბებდა საბჭოთა ხე-

ლისუფლებას და მიწევდა კიევისაკენ. უკრაინის დედაქალაქში იმ დროს კონტრრევოლუციონერი პეტლურა იყო მოკალათებული. შჩორსმა ჯერ გენერლები გარეკა. გომელთან, პოლონეთის საზღვარზე მდებარე დიდ ქალაქთან, შჩორსმა გენერლების უკანასკნელი ეშელონი განდევნა და კიევს ეცა. ხალხის მტერმა ტროცკიმ მოლალატური ბრძანება გასცა: „პეტლურას დიდი ჯარი ჰყავს, არ გაბედოთ კიევზე გალაშქრება“—ო. არც შჩორსმა, არც აჯანყებულმა ხალხმა ტროცკის არ დაუჯერეს. დიდი სისხლის მღვრელი ბრძოლით მიწევდა შჩორსი წინ, კიევისაკენ. საკმაო იყო შჩორსის გამოჩენა, რომ მთელი სოფლები ფეხზე დამდგარისვენ და ეთხოვათ შჩორსისათვის:

— მოიღე მოწყალება, ჩაგვწერე შენს ჯარში, ამხანაგო შჩორსს.

— ჩემმა ამხანაგებმა უკან დახევა არ იციან, იცით თუ არა ეს? —

შევკითხებოდა ხოლმე შჩორსი.

— ვიცით და იმიტომ მოვდივართ შენთან,—უპასუხებდნენ გლეხები.— მოვკვდებით და არ დავიხევთ უკან!

1919 წლის 2 თებერვალს შჩორსი სოფელ ბროკარს დაეცა. მტერს ათ-ჯერ მეტი ჯარი ჰყავდა გაჩაღდა ძლიერი ბრძოლა. შჩორსმა შეატყო, რომ ბრძოლა ძნელდებოდა, წელში გაიმართა, სხვა გმირებიც აიყოლია, ხუმრობა დაიწყო და უშიშრად შეუტია მტერს. ჯარი აღტაცებაში მოვიდა შჩორსის გმირობით, გაჰყვა სარდალს და უკუაქცია მტერი.

ერთხელ, აღმოსავლეთის ფრონტზე, შჩორსს ხიფათი შეემთხეა. თე-თრები გამაგრდნენ ერთ ალაგას და წითლებმა ვერ გარეკეს. შჩორსმა გადაიცვა გლეხურად, გადავიდა მოწინააღმდეგის აღგილებში, დაზვერა თე-თრების ფრონტი და. ის იყო უკან ბრუნდებოდა, რომ თეთრებმა შეიძ-ურის. გაჩხრიეს, ვერაფერი უპოვეს.

— ყოველ შემთხვევისათვის დავხერიტოთ, — გადასწყვიტეს თე-თრებმა და მიაყენეს ქუჩის პირას კედელზე.

შჩორსი აუღელვებლად გაჩერდა კვდელთან და თვალი ქუჩას გააყოლა. ქუჩა პირდაპირ მისი რაზმისაკენ მიღიოდა. უცებ მოსახვევიდან ავტომობილის გუგუნი მოისმა. შჩორსი აიწურა. თეთრებმა თოფები დასწიეს — ჯერ ავტომობილი გავუშეათო; როგორც კი გამოჩენდა ავტომობილი, შჩორსმა ისკუპა, ჩახტა ავტომობილში და შეჰყვირა შოფერს:

— გაუხვიე წითლებისაკენ! ჩქარა, თორებ გაგათავე!

შოფერი დაიბნა და წითლებისაკენ გაუხვია. სანამ თეთრები გონის მოვრდოდნენ, შჩორსი სამშეიდობოს იყო.

შჩორსმა მაშინვე აჰყარა თავისი რაზმი, ეცა თეთრებს და გაანადგურა.

6 თებერვალს შჩორსის დივიზიამ კიევი გაათავისუფლა.. 8 თებერვალს მთავრობამ შჩორსის დივიზიის პოლკები საპატიო წითელი დროშებით დააჯილდოვა, ხოლო თვით შჩორსი და მისი თანაშემწე ბოჟენკო თქმის საპატიო იარაღით.

კიევის გათავისუფლების შემდეგ ბრძოლა უფრო გამწვავდა. შჩორნი სი ქალაქს ქალაქზე ართმევდა პეტლურას. მტერი არაფერს ანა ზოგადა შჩორსის დასმარცხებლად, მაგრამ უშედეგოდ. ერთხელ, ბერდიჩევითან ბრძოლის დროს შჩორსს თეთრებმა პროვოკაცია მოუწყეს. დილით მთელი ღამის ღამტანჯველი ბრძოლის შემდეგ, სადგურს წითელ-დრო-შიან ჯავსნოსანი მიუახლოვდა. წითელ არმიელებს გაეხარდათ და ჯავ-შნოსანისაკან გაემართნენ. ჯავშნოსანმა ახლო მიუშვა და მერე სეტყვა-სავით დააყარა ტყვია წითელებს. დაიწყო პანიკა. შედრეა რაზმი. უცემა გაჩნდა შჩორსი და დასჭყივლა:

— სდექ! მომყევეით!

წითელარმიელები გონს შოვიღნენ. გაპყვნენ შჩორსს და ჯავსნოსანი ხელთ ჩაიგდეს. .

1919. წელს, ავისტოს ბოლო რიცხვებში, მწვავე ბრძოლა გაიმართა დნეპრის ნაპირებზე. შჩორსმა გადარეკა თეთრები დნეპრის მარჯვენა მხარეზე, მაგრამ დენიკინი ამ დროს მოსკოვისაკენ მიიწევდა. წითელი არმიისათვის მეტად საშიში მდგომარეობა შეიქნა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა შჩორსის დივიზია. შჩორსი ამ დროს კოროსტენის რკინიგზის კვანძს იცავდა. მისი ჯარი დალლილი იყო. პეტლურამ ახალი ჯარი შეკრიბა გალიციაში და კვლავ მოაწვა საბჭოთა უკრაინას. პოლონელთა ჯარი-კი ლაშობდა შჩორსის დივიზიისათვის ზურგიღან მოევლო. შჩორსს დავალებული ჰქონდა კოროსტენის პლაცდარმის შენარჩუნება. ამ დავალების შესრულებაზე იყო დამოკიდებული ყველა იმ საბჭოთა ჯარის ბედი, რომელიც დნეპრის მარჯვენა ნაპირზე მოქმედებდა. იმ დღეებში და იმ ბრძოლებში შჩორსის მხნეობა, ენერგია და მამაცობა უასზღვრო იყო. სწორედ ამ ბრძოლებში დაიღუპა შჩორსი. ეს მოხდა 30 აგვისტოს.

ამ დღეს შჩორსმა ბრძოლის ხაზი ჩამოიარა. სანგრებში ჩადიოდა, წითელარმიელებს ესაუბრებოდა, ეხუმრებოდა. დღე მზიანი იყო, ხოლო ცა მოქრიალებული.

— ამხანგო დივმეთაურო, — ეუბნებოდნენ წითელარმიელები, — გაუფრრთხილდით თავს. აქ ტყვიები ბუზებივით ირევიან.

შჩორსმა გაიცინა:

— განა მე ტყვია მომერევა? მე მხოლოდ ყუმბარა მომერევა.

ამ დროს პირდაპირ სოფელში მტერი ამოძრავდა. აკაკინდა ტყვია-მფრქვევი.

— დასცე ტყვიამფრქვევს! — უბრძანა შჩორსმა ბატარეის უფროსს. ბატარეის უფროსმა დასცე.

— ერთი... ორი... სამი... ოთხი... — ითვლიდა მიწაზე გაწოლილი შჩორსი და უცემა, თითქოს დაიღალაო, თავი ჩაღუნა.

— ამხანგო შჩორსს! — შეყვირა ვილაცამ, ბაგრამ შჩორსი აღარ ინდრეოდა.

ერთი მეომარი მიუახლოვდა, ქუდი მოჰხადა: მარცხენა საფეოქლიდან სისხლი ჟონავდა.

— შჩორსი მოჰკლეს!... — გავარდა ხმა.

მთელ ფრონტს, ოოგორც ერთ კაცს, გააურეოლა. მთელი ფრონტი, ოოგორც ერთი კაცი, შურისძიებაშ შეიპყრო. შჩორსის დივიზია ეცა მტერს. სამჯერ უკუაგდო მტერმა შჩორსელები, მაგრამ სამჯერვე განაახლეს მათ შეტევა, ბოლოს დაამარცხეს მტერი და უკუაგდეს იგი.

შჩორსი 24 წლისა მოკვდა. იგი დაკრძალეს ქ. სამარაში დიდის ამბით.

რ თ ვ ე ლ ი

დილა ფრთხილად ჩამოდგება ბაღში,
დღე აანთებს აქარვებულ ყურძენს,
მშვიდი ქარი, როგორც ტალღებს ზღვაში
აშრიალებს მანდარინის ფურცლებს.

მსურს იმღერონ ჭაბუკებმა ეხლაც,
რძიან ყანებს შუქი როგორს ავსებს,
ბუდე როგორ აუგია მერცხალს
კოლმეურნის ახალ ოდის ბანზე.

სხივი ვერცხლავს მოკამკამე სივრცეს,
დაბლა ყანებს მოყვითალოდ გაშლილს;
ის ფიფქები ოქროებარტ იქცნენ,
გაზაფხულში რომ დათოვა ბაღში.

მამლერებლა ყვავილების თოვლი...
ახლა ტოტი ღახუნძული მძიმედ
გახალისდა, თითქოს რთველის მოსვლით
მწიფე ბალი ისე გაიღიმებს.

მიხარია, როცა ველი ჰყვავის,
როცა ზამთრის ცა გვადგება თავზე.
ჩემი ქვეყნის ეს მოსავლის ხვავი,
მზიან სოფლებს ბარაქით რომ ავსებს.

მიხარია!... დილის მტევნებს კრეფენ,
ბაღში მკვირცხლობს თმაღაწნული ქალი
და ქვევრებში აქარვებულ შხეფებს
ვაულიმებს ბედნიერი თვალი.

კრასიკური მცენვილი კობა

ი. ს. ტურგენევი

ლექსები პრზაღ

გათხოვარი

ქუჩაზე მივდიოდი... მე შემაჩერა მათხოვარმა, მიხრწნილმა ბერიკაცმა. აწითლებული, ცრემლიანი თვალები, ჩალურჯებული ტუჩები, ხმელი შალის ნაფლეთები, უსუფთაო იარები.. ო, რა მახინჯად შემოულრონია სილარიბეს ეს უბედური არსება!

ის მიწველიდა წითელ, გასივებულ, ჭუჭყიან ხელს... ის კვნესოდა, ის ბლაოდა მოწყალებისთვის.

მე დავუწყე ფულს ძებნა ყველა ჯიბეში... არც ქისა, არც საათი, არც ცხვირსახოცი... თან არ გამომყოლოდა.

მათხოვარი კი იცდიდა... მისი გამოწვდილი ხელი ოდნავ ქანაობდა, და კრთებოდა ზოგჯერ.

გონარეულმა, შეწუხებულმა მაგრად მოვუჭირე. ხელი მის ჭუჭყიანს, ათრთოლებულ ხელს...

— ნუ გამსჯი, ძმაო! არა მაქვს არათერი, ძმაო!.

მათხოვარმა მომაშტერა თავისი აწითლებული თვალები. გაიღიმა ჩალურჯებული ტუჩებით და თავისი მხრით მაგრად მოუჭირა ხელი ჩემს გაცივებულ თითებს.

— რა ვუყოთ ძმაო! — წაიჩიტეჩითა იმან — ამაზედაც მადლობელი ვარ, ესეც მოწყალება, ძმაო!

მიხვდი, რომ მეც მოწყალება მივიღე ჩემი ძმისგან..

1878 წელი, თებერვალი

კრაშოფილი ადამიანი

ახტახტო ქალაქის ქუჩაზე ხტომა-ხტომით მიჰქრის ახალგაზრდა კაცი. ის მოძრაობს მხიარულად, ცოცხლად, თვალები უბრწყინავს, ტუჩები ნეტარებით უცინის, სასიამოენოდ ულვივის გაბრწყინვებული სახე. ის მთლად — კმაყოფილება და სიხარული.

რა შეემთხვა მას? მემკვიდრეობა ხომ არ მიიღო? ჩინი ზომ არ მოუ-მატეს? იქნება სატრიულოსთან პაემანზე მიეშურება? ან იქნებ უბრალოდ — მან კარგად ისაუზმა და ჯანმრთელობის გრძნობა, ძალონის მაძლარი

გრძნობა ათამაშდა მთელ მის სხეულში? ან იქნებ მას ყელზე ჩამოჰკიდეს შენი რვაკუთხოვანი ლამაზი ჯვარი, ოი, პოლონეთის მეფევ სტანისლავი?

არა! მან თავის ნაცნობზე შეთხზა ცილისწამება, გაავრცელა ის გულმოდვინედ, მოსმინა ის, თავისი ცილისწამება, სხვა ნაცნობისაგან და თვითონაც დაიჯერა.

ოჟ, რა კმაყოფილია, რა კეთილიც კია ამ წუთში ეს საყვარელი, ეს დოდად საიმედო ახალგაზრდა კაცი!

1878 წელი, თებერვალი

ვ360

ქვრივ დედაკაცს მოუკვდა ერთადერთი შვილი, ოცი წლის ბიჭი, პირველი მუშა სოფლად.

იმავე სოფლის ქალბატონი, მემამულის ცოლი, რომელმაც გაიგო ამ დედაკაცის მწუხარება, წავიდა მის სანახავად თვით დასაფლავების დღეს. მას ის სახლში დაუხვდა.

ის იდგა ქოხის შუაგულში, სუფრის წინ, და აუჩქარებლად მარჯვენა ხელის თანაბარი მოძრაობით (მარცხენა დადამბლავებული ჰქონდა) იღებდა უხორცო წვენს გაჭვარტლული ქოთნის ფსკერიდან და ხერებდა კოვჭით.

დედაკაცის სახე დამჭერნარიყო და ჩაბნელებულიყო; თვალები გაწითლებოდა და დასივებოდა... მაგრამ ის იდგა აუღელვებლად სწორად, როგორც ეკლესიაში.

„ღმერთო! — გაითიქჩა ქალბატონმა. — ასეთ წუთებში მას ჭამა შეუძლია... მაგრამ მათ ყველას, ჰუ! — როგორი უხეში გრძნობები აქვთ“.

და ქალბატონს გაახსენდა, რომ მან თვით ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ცხრა თვის გოგონა დაპკარგა, მწუხარების ზეგავლენით უარი სთქვა პეტერბურგის მახლობლად საუკეთესო აგარაკის დაჭირავებაზე — და მთელი ზაფხული ქალაქში გაატარა. — დედაკაცი კი განაგრძობდა წვენის ხერებას.

დაბოლოს, ქალბატონმა ველარ მოითმინა. — ტატიანა, — წაილაპარაკა მან... — მაპატიე. — მე მიკვირს! ნუთუ შენ შეილი არ გიყვარდა? მადა როგორ არ დაგვარგა? — როგორ შეგიძლია ამ წვენის ჭამა?

— ჩემი ვასია მოკვდა, — ჩუმად წაიბუტბუტა ქალმა, და შეგუბებული ცრემლები გადმოსკდა ჩაცვენილ ლოყებზე, — სჩანს, ჩემი აღსასრულიც მოსულია: სიცოცხლეშივე მომაცალეს თავი მხრებიდან. წვენი ხომ ტყუილუბრალოდ არ უნდა გაფუჭდეს: ის ხომ უმარილო არ არის?

ქალბატონმა მხოლოდ მხრებიდა აიჩეჩა. — და გავიდა ქოხიდან. ის რომ აღვილად შოულობდა მარილს!

1878 წელი, მაისი.

ორი მდიდარი

როდესაც ჩემთან აქებ-ადიდებენ მდიდარ როტშილდს, რომელიც თავისი უზარმაზარი შემოსავლიდან ათასმანეთობით ხარჯავს ბავშვთა აღზრდის, ავადმყოფთა მკურნალობის, მოხუცთა მოვლა-მიხედვისთვის — ვაქებ და გული მიჩვილდება.

მაგრამ ამ ქებისა და გულაჩვილების დროსაც არ შემიძლია არ გავიხსნო ერთი ღარიბ-ღატაკი გლეხის ოჯახი, რომელმაც თავის გატიალებულ ქოხში შეიფარა ობოლი ძმისწული-ქალი.

— მოვიყვანთ ჩვენ კატკას, — ამბობდა დიახახლისი, — ჩვენი უკანასკნელი გროშები მასზე დაიხარჯება... მარილსაც ჭაველარაფრით ვიყიდით, რომ შეჭამადი შევეკაზმოთ.

— ჩვენ იმას... უმარილოდაც კარგად გიახლებით! — უპასუხა ქმარმა.

ვერა, როტშილდი ვერ შეედრება ამ გლეხს.

მთარგმნელი ს. აბულაძე

1878 წელი, ივლისი.

ქ რ ი ტ ი პ ა

აკ. გავრენელია

ქავკასიური ბრძოლები აღ. ყაზბეგის მოთხრობები

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება, გარდა ზოგიერთი მოთხრობისა, გრიგორიული და ავტობიოგრაფიული ხასიათის ბელეტრისტული ნაწერებისა, ერთი თემის მხატვრულ გაშლას წარმოადგენს. ეს თემა — მთის დაპყრობა მეფის რუსეთის მიერ და ამ ნიადაგზე წარმოშობილი რლევევა იმ თემური წყობისა, რომელზედაც მთიელთა საზოგადოებრივი ცხოვრება ემყარებოდა.

როგორც სოციოლოგს, ა. ყაზბეგს კარგად ესმოდა რუსეთის იმპერიალიზმის კავკასიისაკენ ლტოლვის მიზნები: ეს იყო ბრძოლა აღმოსავლეთის ბაზრის დაპყრობისათვის. კავკასია ამ გზაზე უნდა გამხდარიყო ავაბოსტო იმ ბრძოლებისა, რომელსაც თავის შიზნის განსახორციელებლად აწარმოებდა აზიური ევროპის ერთერთი უძლიერესი სახელმწიფოს სავაჭრო კაპიტალი.

ალ. ყაზბეგმა თავის ბელეტრისტული ნაწერებისათვის გამოჰყო უმთავრესად ხევი და მთის ამ მხარის ბრძოლების გამოხატვის დროს მისი გული სცემდა იმ ადამიანების გულებთან ერთად. რომელნიც უთანასწორო ბრძოლაში ეგზომ თავანწირულად და შეუპოვრად იცავდნენ თავიანთ ზნეობრივ იდეალებს, აღათებსა და ზნე-ჩვეულებებს. მწერლის მთელი ყურადღება მიქცეული იყო ერთი მომენტისადმი: როგორ ითრგუნებოდა მთის ვაჟაცური მორალი, ახალი, ნამდვილად ველური, დამპყრობელი ძალის მოზღვავების დროს.

როგორც ეპიკოსს, ჩვენს ავტორს არ ყოფნის თხრობის სიწყნარე ამ სისხლიანი ეპოდების გაღმოცემისას. გმირებთან ერთად ის მოსთქვამს მთიელი ქალების შეგინებული პატიოსნებისა და ტყვიით გატეხილ რაინდულ ვაჟაცობაზე. მიუხდავად ამისა, მწერალი ზუსტად იცავს ისტორიულ პერსპექტივას და ყველაფერი, რაც შესაძლოა პირველი შეხედვით შეითხველს. ტენდენციურად ან რომანტიულად ეჩვენოს, სინამდვილის მხატვრულ ანარეკლს წარმოადგენს. და ეს ჩანს, როგორც მთავარს ამ ბებში, ისე წვრილმანებშიც.

სამწუხაროდ, ყაზბეგის ბელეტრისტული ნაწარმოებები ჯერ კიდევ არა გარჩეული ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით. მკითხველთა მასისათვის დღემდე უცნობია ის წყაროები, რომელითაც სარგებლობდა მწერალი თავისი უმთავრესი მოთხრობების წერის დროს. მართალია, ყაზბეგი მეტშილად ეხებოდა ხევს, რომელსაც ის უშუალოდ იცნობდა, მაგრამ არა მარტო ხევს: მისი გმირები მოგზაურობენ კავკასიის სხვა მხარეებში და ავტორი ამ მხარეების აღწერისას იჩენს ადგილობრივი კოლორიტის, ადათებისა და ეტიკეტების საფუძვლიან ცოდნას. „ელისო“, ერთერთი საუკეთესო მოთხრობა ჩვენი ავტორისა, ხომ ჩეჩნელთა ისტორიულ წარსულს ეხება.

და რადგანაც მწერლის ინდივიდუალობა მეღავნდება არა მარტო რეჟისურთა ტიპი, არამედ მის დამოკიდებულებაშიც გამოყენებული თუ უარყოფილი მასალისადმი, ჩვენ ქვემოთ მოგვიხდება. მოკლედ შევეხოთ ყაზბეგის ლიტერატურულ წყაროებსაც.

2.

ჩვენ აქ არ დაგვჭირდება ვრცელი ექსკურსი იმ საკითხების ირგვლივ, რომლებიც მეფის რუსეთის მიერ კავკასიის ანექსიას ეხებიან; ყველასათვის ცნობილია, რომ ამ მრავალერიანი მხარის დაპყრობა არ მომხდარა მშვიდობიანი გზით და ისიც უცბად. კერძოდ მთა ძალიან დიდხანს გაუმკლავდა გარედან მისულ დამპყრობელ ძალას და ე. წყავისური ომი წარმოადგენს სისხლიან ქრონიკას ძალმომრეობისას აგრესორების მხრით და გასაკუარი გმირობისას — მთიელთა მხრით.

ალ. ყაზბეგი დგას მყარ ისტორიულ ნიადაგზე, როცა ხაზგასმით გვისურათებს მთის ხალხის მორალურ უპირატესობას რუსეთის სამხედრო ექსპედიციის ხელმძღვანელებთან (და ამათთან ერთად მოსულ ბიუროკრატიულ აპარატთან) შედარებით. უკანასკნელთა საქმიანობის შესახებ განსაკუთრებულის მჭერმეტყველობით მოგვითხრობენ არა მარტო ლიბერალურად განწყობილი რუსი და ევროპელი მემუარისტები, არამედ ოფიციალური მატიანებიც.

მაგრამ ალ. ყაზბეგი ამ საზოგადო მომენტის აღნიშვნით არ დაქმაყოფილებულა. ჩვენ დღეს შეიძლება გაგვიკვირდეს კიდეც, რომ მწერალს თავისი დროისთვის უაღრესად პროგრესიული შეხედულება ჰქონდა გამომუშავებული საზოგადოებრივი მოვლენებისადმი. უფრო გასაკვირა კი ისაა, რომ მწერალს ჰქონდა დიფერენციული მიღობა ამ მოვლენებისადმი.

ალ. ყაზბეგი შესანიშნავად ერკვეოდა საზოგადოებრივი ფენების ურთიერთობაში. მის მოთხრობებში ხაზგასმულია ერთი მნიშვნელოვანი, მომენტი, სახელდობრი ის, რომ რუსის სამხედრო ძალამ მთის ხალხთან ბრძოლის დროს დასაყრდენი ჰპოვა პრივილეგიურ წოდებაში. ბიუ-

როკრატიულ მოხელეებს საერთო ენა აქვთ გამონახული თავად-აზნაურობასთან, ხოლო რუსის ბატალიონებს ხშირად წინ უძღვიან სამხედრო იერარქიაში მოკალათებული გენერლები ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წრიდან. ყაზბეგის გაგებით ხევის გლეხობასა და მთის თავისუფალ უზღენებს ჰყავთ არა მარტო გარეშე მტერი, არამედ შინაური მტერიც.

„ელგუჯას“ შესავალში ყაზბეგი მსჯელობს თანამედროვე ისტორიკოსი-მხატვრის თვალსაზრისით. ის იხილავს საკითხს, თუ როგორ ფიქციური აღმოჩნდა არსებითად ე. წ. ყმების განთავისუფლება 1864 წელს. მაგრამ ის არ სჯერდება ამ განცხადებას და მხატვრულ ტილოზე გვიჩვენებს იმას, რაც დეკლარატიულად აქვს გამოთქმული მოთხრობის წინასიტყვაობაში. ასევე თანმიმდევრულად, შეგნებული სოციოლოგიური თვალსაზრისით აშუქებს მწერალი ყველა დანარჩენ საქითხს. ძალზე მნიშვნელოვანია ამ მხრით ყაზბეგის დამოკიდებულება დალისტან-ჩეჩენეთის ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობისაღმი.

ქართული ფეოდალური არისტოკრატიის იმ ნაწილს, რომელსაც სპატიო აღგილი ეჭირა სამხედრო იერარქიაში, როგორც ცნობილია, დაღი დამსახურება მიუძღვის მთის დაპყრობის საქმეში. ისინი არც შემდგეში უცქეროდნენ მთის ხალხების ბრძოლას ისე რომანტიულად, როგორც უცქეროდა მას ქართული მოწინავე საზოგადოების ლიბერალური ნაწილი სამოციან წლებში. გავიხსენოთ თუნდაც ძმები ორპელიანების (ილიას, ზაქარიას და გრიგოლის) მოღვაწეობა კავკასიურ მმში. ესენი ხომ მხარში უდგრძნ დამპყრობელ გენერლების? განსაკუთრებით დიდი რყო გ. ორბელიანის როლი, რომლის სამხედრო ექსპედიციებმა სალათავიაში 1857 წელს შამილისათვის საბედისწერო შედეგი გამოიღო.

„ელისოში“ ალ. ყაზბეგი დამახასიათებელ სიტყვებს ათქმევინებს ერთერთ მთავარ გმირს — ჩეჩენელ აზორ ჩერბიქს:

„შვიდჯერ იერიშით მოსულნი გიაურები შვიდჯერვე გავაბრუნეთ უჭან და აქაც თუ ქრისტიანები [ქართველები] არ ყოფილიყნენ გიაურები ვერ აიღებდნენ ჩვენს სოფელს.“

ამ სიტყვებით ავტორი მოკლედ აღნიშნავს იმ როლს, რომელიც სამხედრო კარიერის მოპოვებით გატაცებულმა თავად-აზნაურობაში ითამაშა მთიელებთან ბრძოლაში.

3.

საკითხავია — როგორ ამართლებრნენ თვითონ ეს ქართველები თავით მოღვაწეობას მთიელებთან ბრძოლაში? ქართული სამხედრო-ფეოდალურ არისტოკრატიას ის მიაჩნდა პატრიოტული საქმიანობის ნაწილი. გ. ორბელიანი ამის შესახებ ერთგვარი ქედმალლობითაც მოგვიანდ. გ. ორბელიანი ამის შესახებ ერთგვარი ქედმალლობითაც მოგვიანდ. თხხობს თავის ბარათებში. პოეტურად კი მან ეს გამოსთქვა ცნობილ „პასუხში“. ამ პოლემიკურ ლექსში ავტორი შიმართავს „შვილებს“.

„ოსმალ-სპარსები,

დ ა ღ ე ს ტ ნ ი ს მ თ ე ბ ა

ქებით გეტიუვიან დიდთა მათ[ე. ი. მამების] საქმეთ“.

შვილების თაობამ არ ჩაუთვალა მამებს ეს ღვაწლი პროგრესიულ დამსახურებად. არც რელიგიური განსხვავების მომენტი, რომელიც გასა-მართლებელ საბუთად მოჰყავდა რუსოფილ ქართველ ფეოდალურ წო-დებას,, არ უშლიდა ხელს ი. ჭავჭავაძეს — დაცინვით მოეხსენებია „ჩი-ნებზე“ შევგარებული უფროსი თაობის „დიდი საქმენი“.

ალ. ყაზბეგიც ასეთს შეხედულებას იზიარებდა. მწერალი უარყოფი-თად აფასებდა ქართველების მონაწილეობას რუსის ჯარში მაშინ, რო-ცა ამ ჯარის ბატალიონები არბევდნენ და აწიოკებდნენ მშვიდი აულე-ბის ბინადართ. ალ. ყაზბეგს უაზრობად მიაჩნდა ასეთი გმირობა ქარ-თველების მხრით. და მართლაც — თუ იმპერიალისტური რუსეთისთვის მთის ანექსისა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, საქართველოს უცეოფასი მერ-მისისთვის მას პრაფერი მოუტანია.

„მამის მკვლელში“ ყაზბეგს აღწერილი აქვს საგულისხმო სცენა. შა-მილს ჩეჩენეთის ერთ სოფელში აცნობებენ ვორონცოვის რაზმის მოახლო-ვებას:

„ — შენ ჰნახე რუსის ჯარი? — ჰკითხა შამილმა.

— ვნახე დიალექტ (ღმერთმანი).

— ბევრია?

— ოჰ, ჰო, ჰო, ჰო, — გაიკვირვა ჩეჩენელმა.

— „თეთრი ღენერალიც“ მოსდევს? (ასე ეძახდნენ ვორონცოვს).

— აგრე ამბობდნენ ბაზარში და არ ვიცი...

— როდის აპირებენ წამოსვლას?

— წვალ, — აგრე ლაპარაკობენ.

— ქართველები ბევრია?

— ძალიან ბევრი, ძალიან.

შამილი ცოტა ხანს გაჩუმდა და მერმე მიუბრუნდა ნაიბებს

— ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა მ ა გ ა თ ი ს ა ქ მ ე. მ ა გ ა თ რ ა ლ ა უ ნ დ ა თ ჩ ვ ე ნ გ ა ნ? — და მიუბრუნდა ისევ ამ-ბის მომტანს: ოსები?

— ასებიც. ბევრია, ჩერქეზებიც, მაგრამ ქართველები ყველაზე მეტია.

ჩამოვარდა კიდევ სიჩუმე, რომლის დროსაც შამილის სახე რამ-დენჯერმე შეიცვალა: სჩანდა, იმის გონება რაღაცაზედაც მუ-შაობდა. ის მიუბრუნდა ნაიბებს:

— ეცადენით, რაც შეიძლება ერიდენით ქართველებს. და ჩერ-ქეზებს“.

რასაცირველია, სრულიად არ არის ძნელი ამ დიალოგში თვითონ ალ. ყაზბეგის შეხედულების გამოცნობა.

„შამის მკვლელის“ ისტორიული ფონი ქრონილოგიურად თარიღ-დება 1845 წლით, რადგან მასში აღწერილია ცნობილი „დარღოს ექსპედიცია“, რომელიც ამ წელს მოწყო ვორონცოვის სარდლობით. ვიზრე თვითონ ამ ექსპედიციის აღწერას შევეხებოდეთ, უნდა შევჩერდეთ ერთს მნიშვნელოვან საკითხზე.

ყაზბეგის მოთხოვობებში იშლება ხევის ტრაგედია, ტრაგედიისთვის დამახასიათებელი ფინანით: მთავარი გმირების განადგურებით. ეს არის რაღაც მოჯადოებული წრე, რომლისგანაც თავი ვერ დაუღწევიათ ყველაზე გმირული ლირსებებით: აღჭურვილ მოხევეებსაც კი. რუსის მოხელეები, ადგილობრივი თავად-აზნაურობა, დამსჯელი ეგზეკუციები — აი ის მაჯლაჯუნა, რომელიც თავზე აწევს უდანაშაულო მოსახლეობას და გასაჭნავს არ აძლევს მას,

მაგრამ არის მხარე, რომელსაც უიშედო მდგომარეობიდან გამოსავლის ძიების დროს მიიპყრობენ ხოლმე ისინი თვალს. ეს მხარეა — ქედს გადაღმა, გარეშე მტრების რკალში მომწყვდეული ჩეჩენეთ-დაღესტანი.

არის თუ არა მართალი ალ ყაზბეგი, როცა სამშობლო დაკარგულ ქართველ ვმირ-მთიელებს თავშესაფარს აძებნინებს: მუსლიმანურ მთაში?

ჯერ მოკლედ დავახასიათოთ ჩეჩენეთ-დაღისტნის მდგომარეობა იმაშატის ეპოქაში.

ის დიდი ნაციონალურ-რელიგიური ხასიათის მოძრაობა, რომელიც დაიწყო 30-იან წლებში და რომელმაც 60-ან წლებამდე გასტანა, ხასიათდება შეურიგებელი ბრძოლით არა მარტო გარეშე მტრებთან, არამედ შიგნით გაბატონებულ ხოციალურ ფენებთანაც. მიურიდიზმა, როგორც ცნობილია, ბოლო მოულო მთის არისტოკრატის ბატონობას მთელი 30 წლის მანძილზე: იმ კანტუშებში, რომლებზედაც დაღისტნის იმამების (ყაზი-მოლას, ჰამზალ-ბეგისა და შამილის) ბატონობა ვრცელდებოდა, ხანებსა, ბეგებსა და ჭანკებს (ბეგების უკანონო შეიღებს) — საერთოდ პრივილეგიურ წოდებას — დაკარგული ჰქონდა ადრინდელი ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები. ჯერ კიდევ ყაზი-მოლამ 1830 წელს იერიში მიიტანა ავარიის ხანებზე: მას სურდა გაენადგურებია ეს დინასტიური უზურპატორები, რომლებიც ანგარიშს არ უწევდნენ დაბალი ფენებიდან მომდინარე მოძრაობას. მთის ხალხი ჰაზავატის დროშის ქვეშ აპირებდა მრავალერთანი მხარის გაერთიანებას:

ამ ამოცანას განხორციელებას შეუდგა მეორე იმამი ჰამზალ-ბეგი, რომელმაც აიღო ხუნდახი — ავარიელი ხანების რეზიდენცია და მთელი დინასტიური საგვარეულო ამოსწყვიტა. მესამე იმამის, შამილის დროს ჩეხარი ტემპით დაიწყო წოდებრივი დიფერენციაციის აღვეთის პროცესი. ამიერიდან არსებობდა რელიგიური პარტია ერთის მხრით,

და ხალხი, რომელიც სრულუფლებიან, მოსახლეობას აერთიანებდა. მოსახლეობის იყო აღათი (ტრადიციული კანონი), რომელიც ყველს თემს საკუთარი გააჩნდა. მის ნაცვლად შემოლებულ იქნა შარიატი — ყურანის საფუძველზე გამომჟავებული კოდექსი სამართალისა. იმა-მატი არსებითად ამ სოციალურ ასიმილაციას ემყარებოდა. არ იყო ძალა, რომელსაც შესძლებოდა თავისი უფლებები დაეპიროს პირებინა ხალხის ნებით არჩეულ ხელმძღვანელობისადმი. ამიტომ იყო, რომ მთის ჭრისტიანებია მთლიანად მიემსრო რუსებს მათს ბრძოლაში შამილთან.

შამილის ანტი-ლეგიტიმიზმი საკმაოდ ცნობილია. ამის შესახებ იმდენი უწერიათ, რომ მის შესახებ აქ ვრცლად არ ვილაპარაკებთ. საკმარისია დაინტერესებულმა მკითხველმა თვალი გადაავლოს კაა. რუნოვსკის დღიურებს (Акты, XII), რომ მისთვის ნათელი შეიქნეს შამილის სოციალ-პოლიტიკური იდეალები. კალუგაში ექს-იმამი ურჩევდა რუსულ მმართებლობას ხანებისა და ბეგებისათვის არ დაებრუნებინათ მის მიერ ჩამორთმეული უფლებები, რადგან ყოველგვარი უკმაყოფილებისა, ბოროტებისა და არეულობის სათავედ მას მიაჩნდა ამ პრივილეგიური ფენებისა და დანარჩენი მოსახლეობის მარადი ანტაგონიზმი. ეს რჩევა მათ არ მიიღეს და იმამის წინასწარმეტყველებაც ასრულდა: ცნობილია რამდენიმე უჯანყება 70 — 80 წლებისა.

გასაგებია თუ რა დიდი ანგარიშს უწევდა იმაში ღარიბი მოსახლეობის მოთხოვნილებებს. მის დროს კანონი ერთნაირად სჯიდა, როგორც უბრალო სოფლელს, ისე მურიდების მეთაურებს. სასჯელს გამოტანისას ის ანგარიშს უწევდა ხალხის ნებას. ალ. ყაზბეგს გამოყენებული აქვს ტიპიური ისტორიული სინამდვილე, როცა „მამის მკვლელში“ ის აღწერს შამილის მიერ კანტუშის ნაიბის გადაყენებას ხალხის მოთხოვნით.

ამ თვალსაზრისით — იმამატის ეპოქის ჩეჩენთ-დაღისტანი მართლაც წარმოადგენდა არა მარტო პოლიტიკურად დამოუკიდებელ და თავისუფალ, არამედ შედარებით სოციალურადაც მოწესრიგებულ თავისუფალ სახელმწიფოს, თუ აქ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ზედა-ძალას, რომელიც საომარ გარემოცვაში აიძულებდა მთიელებს მიეტოვებინათ თავისანთი სახლკარი და თოვთ-იარალით ღლჭურვილიყვნენ; სხვაგვარად არც შეიძლებოდა.

ამის შემდეგ გასაგებია, თუ ხევიდან და საერთოდ მთის მოსაზღვრე საქართველოს კუთხებიდან გაწამებული გლეხები ზოგჯერ გადადიოდნენ ჩეჩენთ-დაღისტანში. ჩვენ მოგვეპოვება ისტორიულად დამოწმებული, ფაქტიური მასალა, რომლებიც ყაზბეგის მოთხოვნების ზოგიერთ ეპიზოდებს ამართლებს. სოციალური უკულმართობა აიძულებდათ ქრისტიან ქართველებს, თუმცა არა ხშირად, მაგრამ მაინც, საერთო ენა გამოენახათ მუსლიმან მთიელებთან, ვიდრე ერთმორწმუნე რუსებთან და თანამდებარებულ ბატონებთან.

„ელისოში“ მოხვევს, ქრისტიან ვაჟის უყვარს მაპმადიანის ანზორის ასული. რწმენათა განსხვავება არ უშლით მათ ურთიერთს დაუკავ-

შირდნენ. ხელის შემშლელია უმთავრესად საზოგადოებრივი გარემო. ამიტომ იპვის მტრის ტყვია ყველა მათ ერთს ადგილზე.

„მამის მკვლელში“ გლახას — „...უკვირდა, რომ ქრისტიანი ქრისტიანს აცეთს შარს სდებს. (აბრალებენ-შამილის მომხრე ხარო, ა. გ.) და ურწმუნოებზე უფრო სწყურებია ულონო მოძმეს სისხლი.“

დღევანდელი გაგებით გასაკვირი აქ არაფერი იყო.

ამავე მოთხრობაში ანანურის ციხიდან გაქცეული იაგო და მისი ამხანაგები — უკანონოდ დევნილნი — შეეფარებიან ქისტს ფარჩის. მახევეები თავისუფლად გრძნობენ თავს თავისუფალ ჩეჩენეთში!

იაგო მოხვდება ქისტებში მაშინ, როცა (1845 წელს) ვორონცოვი ემზადება ჩეჩენეთში სალაშქროდ. ყაზბეგი მოგვითხრობს:

„იაგოც მორჩა და სრულიად განთავისუფლდა თავის ჭრილობისაგან. ის თავის ამხანაგებით დღვ-დღეზე ემზადებოდა გალაშქაში გასვლას, საიდგანაც უნდა შეერთებოდა შამილის ერთს-ერთს ჯარის ნაწილს და ებრძოლა ამ ხალხთან ერთად, რომელთაც მიღეს და შეითვისეს.“

მაგრამ იაგომ ხომ ავტორთან ერთად იცოდა, რომ ვორონცოვის რაზმში „ქართველებიც ერია?“ ამრიგად რელიგიურ და ნაციონალურ მომენტს, ყაზბეგის გაგებით, განსაზღვრულ პიროებებში სოციალური მომენტი სჭარბობს.

ალ. ყაზბეგი თავის საყვარელ გმირებთან ერთად დგას მთის თავისუფლებისთვის მებრძოლთა რიგებში.

ჩვენ ვკმაყოფილდებით ამ საერთო მომენტებს აღნიშვნით, თუმცა შეიძლებოდა უფრო ვრცლად საუბარი ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

5.

ალ. ყაზბეგის მოთხრობებში ყაზახებისა და სალდათების მასა წარმოდგენილია, რომეორც ბრმა იარაღი ოფიცირებისა და გენერლების, ხელში და ხშირად ავტორის სიმპატია ამ უაზროდ გაულეტილი მასისაკენაცაა. ამის დამადასტურებელი ადგილები საკმაოდა „მამის მკვლელში“. მწერალი საესებით მართებულად შენიშვნავს სალდათების ფსიქოლოგიაზედაც: „იმათგან არც ამხანაგების შებრალება, არც სხვა რომელიმე კაცობრიული გრძნობა! იმათ მხოლოდ ეშინოდათ თავის უფროსისაონ“.

ჯარსა და ოფიცირობას შორის ასეთი ურთიერთობა იყო მიზეზი იმ ფაქტისა, რომ იმამატის ეპოქის დალისტანსა და ჩეჩენეთში არსეობოდა მთელი ემიგრაცია რუსი სალდათებისა, რომელსაც შამილი მფარველობდა. დარღოს აღების წინ (1845 წ.) მან მთელი ბატალიონი გამოიყვანა ბარაბნის კვრით თავისი მორალური უპირატესობის სადემონსტრაციოდ!

დიღს საჩაჩნოში ნაიბ. ტალპიქს თანაშემწედ რუსი სალდათი ჰყავდა *).

ჩვენს მწერალს ეს მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაც არ გაპარვია მხედველობიდან.

6.

რამდენიმე სიტყვა კონკრეტული ისტორიული ეპიზოდების შესახებ ყაზბეგის მოთხრობებში.

„მამის მკვლელში“ დიდი ადგილი უკავია ჩეჩენელთა ბრძოლას იჩქერის ტყეში ვორონცოვის წინააღმდეგ 1845 წელს. ყაზბეგი არ ასახელებს ამ ექსპედიციის სახელს, მაგრამ ეს არის ცნობილი „დარღოს ექსპედიცია“ (ცნობილი მეორე სახელითაც „Сухарная Экспедиция“). საერთოდ ეს ეპიზოდი სწორად არის აღწერილი. მოგონილია მხოლოდ ამბავი თოთქოს ვორონცოვის გასაჭირი ტყეში გენ. ფრეიტაგს აცნობა ვინმე ჩერქეზმა ათაყუუომ. აღწერაში მოიპოვება გეოგრაფიული შეცომებიც, მაგრამ ეპიზოდის ზოგადი ხაზები სწორად არის. გადმოცემული.

შამილის პორტრეტი მწერალს სავსებით ზუსტად ვერა აქვს დახატული. ასე მაგ. „მამის მკვლელში“ იგი თეთრი წვერით გვეკვინება და ავტორიც ამას ხაზს უსვამს. სინამდვირეში იმამი წითლადშეღებილ წვერს ატარებდა და სრულიად შეგნებულადაც. კალუგაში ექს-იმამი ამბობდა: როგორც მე, ისე ყველა ჩემი თანამემამულე შეღებილ წვერს ვატარებდით იმიტომ, რომ მტერს. არ შეემჩნია ჩვენს რიგებში ახალგაზრდების სიმცირე, გამოწვეული მრავალწლოვანი ომითო. ეს ძალზე მნიშვნელოვანი დეტალი მწერალს მხედველობიდან გაპარვია.

შეცომების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე შემდეგი წვრილ-მანები:

ყაზბეგი შამილის რეზიდენციად ასახელებს ვედენოს. ნამდვილად კი 1846 წლამდე იმამი ცხოვრობდა დარღოში და მხოლოდ ამ უკანასკნელის აღების შემდეგ (1845 წელს), რომელსაც თვით ყაზბეგიც აღწერს, გადავიდა ის ველენოში.

არის შეცომები ზოგიერთი ეტიკეტის აღწერის დროს (მაგ. შამილი არასოდეს არ ეგებებოდა კარებთან დელეგაციას, როგორც ეს ყაზბეგს აქვს ნაჩვენები „მამის მკვლელში“).

*). იხ. Румянцев: Новые проповедники мюридизма на Кавказе, Спб. 1878 срт. 17 — 23. თუმცა რუმინცევის წიგნში ბევრი მოგონილი ამბავია მოთხრობილი, მაგრამ აღნიშნულ ცნობას ადასტურებს (სრულიად დამოუკიდებლად) შამილის ყველაზე უფრო სანდო ბიოგრაფი აპ. რუსოვსკი (იხ. მისი Записки о Шамиле, Спб, 1860, თავი II, გვ. 41.).

დასასრულ ლიტერატურული წყაროების შესახებ.

ყაზბეგს თავის მოთხრობებში დასახელებული აქვს შემდეგი მრომები: „ელგუჯაში“:

1. „ა. დუბროვინის შრომა“. იგულისხმება ამ ავტორის „История войны и владычества Русских на Кавказе.“ (ოთხ ტომიანი შრომა).

2. „ა. ბერეჯს თხზულება“ — იგულისხმება ამ ავტორის „Присоединение Грузии к России“.

3. ა. ზისერმანის „Двадцать пять лет на Кавказе“ (2 ტომი).

4. ბუტკოვის „Материалы для новой истории Кавказа“ (3 ტომიანი შრომა).

მოყვავს აგრძელებულ ცალკე წერილების სათაურები (ურნალიდან რუსკий Вестник და ქართულ გაზეთებიდან).

ალ. ყაზბეგის ნაწერების დაკვირვებული შესწავლა ცხადჰყოფს, რომ მწერალს ხელთ პეტრი მარტინ საკმაოდ მდიდარი მასალა. ჩეხენეთისა და სავკასიის სხვა მხარეთა ტომების ზნე-ჩერულებათა აღწერისას იგი ფართოდ იყენებს ეტნოგრაფიულ ლიტერატურას, რომელიც მაშინ უკვე არსებობდა რუსულ ენაზე. მთელი რიგი ადგილებისა შეიძლება პარალელურად მივუყენოთ სათანადო ლიტერატურული წყაროების გვერდებს. ჩანს, ა. ყაზბეგს ხელთ პეტრი შრომები სერიიდან:

1) Материалы для описания местностей и племен Кавказа (40 ტომია).

2) Сведения о Кавказских горцах (7 ტ.).

რასაკვირველია; უფრო ხშირად გამოყენებული მასალა დეფორმირებულია მწერლის მიერ: იგი მას იყენებს თავისი მხატვრული მიზნების შესაბამისად.

ალ. ყაზბეგის მიერ მასალების დაკვირვებულ შესწავლას მოწმობს აგრძელებული ერთი დეტალი. „მამის მკლელში“ ის სწერს (შენიშვნებში):

„...შამილი რომ ასეთი იყო [ე. ი. ხალხის ნება-სურვილის აღმსრულებელი, ა. გ.] და არა თუ დაუინებული დესპოტი, რომელიც გულის განზრახვას ანაცვალებს კველა საბუთებს, მტკიცდება იმის ცხოვრებიდან ა თ ა ს ი მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი თ, როგორც ყაზი-მახამეთის და შამილის განხევჭილება, საღაც პირადი კმაყოფილება ანაცვალა თავის ქვეყნის სარეგბლობას და სხვა“.

აქ ავტორს მხედველობაში აქვს ყაზი-მოლას (მოპ. 1832 წ.) და მისი თანაშემწის (შამილის) განხევჭილება 30-ან წლებში, რომელიც მხოლოდ სპეციალური ლიტერატურული წყაროების შესწავლის საფუძველზე შეიძლებოდა სკოლნოდა ყაზბეგს.


მასალის დაკვირვებულმა შესაწავლამ დააზღვევა მწერალი იმ ბუტაფორიულობისაგან, რომლითაც ხასიათდება მაგ: მარლინსკისა და მორგევის რომანები კავკასიაზე. ამასთანავე უნდა მოიხსნას ზღაპარი დოკუმენტის რომანების კავკასიაზე.

იმის შესახებ, თითქოს ყაზბეგი სწრაფად, გაგიღასთან მიჯდომისთანავე თხზავდა თავის მოთხოვდებს.

მაგრამ, ვიმეორებთ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყაზბეგის ბელეტრისტულ ნაწერებში არ მოიპოვებოდეს შეცდომები. ყაზბეგი არ სწერდა სპეციალურად ისტორიულ რომანს, ისტორიული ეპიზოდები მის მოთხოვდებში ჰქმნიან ფონს ბელეტრისტული ამბავისთვის. ამიტომ მწერალი ზოგჯერ შეგნებულად მიმართავდა ანაქრონიზმებს და სხვა ხასიათის გადახვევებს. (ამის შესახებ თვითონაცლაპარაკობს ერთერთს პირადს წერილში).

ა. ყაზბეგი რომ ისტორიული რომანის ავტორი იყოს, მაშინ ჩვენ შეგვეძლო მეტი სიმკაცრით მოვპყრობოდით მასი მოთხოვდების ფაქტოლოგიურ მხარეს (გავიხსენოთ ლევ ტოლსტოის სიტყვები, მიწერილი პოლკ. ოსებ ყორდანოვისადმი 1902 წელს, „პაჯიმურადზე“ მუშაობის გამო: „Когда я пишу историческое, я люблю быть до мельчайших подробностей верным действительности“).

ალ. ყაზბეგის ბელეტრისტულ მოთხოვდებში კი ისტორიული ეპიზოდები—როგორც არა უმთავრესი მასალა — შესაფერი სიზუსტითაა გამოყენებული.



ეპტონ სინკლენი

მიმდინარე წელს 60 წელი შეუსრულდა საქვეყნოდ ცნობილ ამცრიცელ ანტი-ფაზისტ მწერალს — ეპტონ სინკლენს. სინკლერი დაიბადა მერილენდის შტატში ქალაქ ბალტიმორში 1878 წ. 20 სექტემბერს. მამამისი იყო წვრილი და „უბედო“ კომერსანი, დიდი მოყვარული ერთადერთი ვაჟისა და გულკეთილი ცოლისა.

სინკლერს ბაგშვილიშვილები შეუყვარდა მხატვრული ნაწარმოებების კითხვა, თერ-ზოტი წლისას უკვე წაკითხული ჰქონდა სტივენსონის, სკოტის, დიკენსის და ტექ-რეის ყველა რომანი.

დიკენსის და ტექ-რეის თხზულებებმა დიდი გავლენა იქმნიეს სინკლერზე და ხელი შეუწყეს მას სოციალური რომანების შექმნის საქმეში.

1888 წელს სინკლერის ოჯახი მატერიალური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ქალაქ ბალტიმორიდან ნიუ-იორკში გადასახლდა, მაგრამ იქ მისი მატერიალური გდეგომარეობა ოდნავადაც არ შეცელილა. პირიქით, დიდი ქალაქის ბირუამ კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენა ეპტონის მამის კომერციულ საქმეებს, ვალებით ააქსო და მთლიანად გააღატაკა იგი. კაპიტალისტური კონკურენციით განადგურებული და უიმედობით შეპყრობილი ეპტონის მამა ლვინის სარდაფში ეძებდა შვებას. ხშირად, ნასევრადმშეირსა და შიშველს პატარა ეპტონს უხდებოდა ლვინის სარდაფებში მამის ძებნა და მისი იქიდან ამოყენა.

ნიუ-იორკში, მიუხედავად დიდი მატერიალური გაჭირვებისა, ნიკიერი ეპტონი წარჩინებულად ამთავრებს კოლეჯს და შედის კოლუმბის უნივერსიტეტში. კოლეჯში ყოფნის დროს იგი უმეტეს დროს შექსირის, მილტონისა და შელის თხზულებების კითხვას ანდომებს.

ეპტონ სინკლერს თავიდანვე მიზნად ჰქონდა დასახული პოეტი და მწერალი გამნდარი. ამიტომ იგი თავის თავზე ძალიან ბევრს მუშაობდა. ხშირად 18 საათზე მეტს წიგნების კითხვაში ატარებდა. მეტონბიარე დედა სწუხდა შეილის გადაჭარბებულ მუშაობას, მოითხოვდა მისგან დასვენებას და გართობას, მაგრამ ეპტონი გულგრილად ხეთებოდა დედის მოთხოვნებს და კვლავ დაუსვენებლივ განაგრძობდა მუშაობას.

ეპტონ სინკლერი სამწერლო ასპარეზზე 1893 წ. გამოვიდა: პირველად მან დააწყო პატარ-პატარა საბავშვი მოთხოვნებისა და ანკედოტების ბეჭდვა. 1901 წელს კიგამზევენდა მისი პირველი რომანი „გაზაფხული და მქა“, მაგრამ ამ რომანმა მას ვერ მოუპოვა სახელი. სინკლერს მწერლის სახელი მოუპოვა 1906 წელში გამოსულმა შეორე რომანმა — „ჯუნგლები“. „ჯუნგლები“ სინკლერის პირველი დიდი ნაწარმოები, იყო, რომელმაც მას საქვეყნო სახელი გაუთქვა. ამერიკის ცნობილმა მწერალმა ჯეიმონდონმა „ჯუნგლები“ „ბიძია თომას ქოხი“ უწოდა.

„ჯუნგლებში“ აღწერილია ჩიკაგოს საკონსერვო ქარხნების მუშების აუტანელი და საშინელი ცხოვრება. ჩიკაგოს მუშების ყოფა-ცხოვრება დიდი დაკვირვებით ჰქონდა

და შესწავლილი ეპტონ სინკლერს. ეპტონი თვით მუშაობდა ჩიკაგოს ქარსნებში და მათი მუშების საშინელი ცხოვრების უშუალო მნახველი და მონაწილე იყო.

„ჯუნგლების“ გამოსვლამ, ამერიკის ბურუჟაზიულ წრეში დიდი აღშფოთება გა- მოიწვია.

„ჯუნგლების“ შემდევ მწერალი აქვეყნებს მთელ რიგ რომანებს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 1917 წელს გამოცემული „მეფე ნახშირი“. მართალია ეპ- ტონი ამ რომანშიც მთლიანად არ არის განთავისუფლებული რეფორმისტული იდე- ებისაგან, მაგრამ „მეფე ნახშირი“ მაინც დიდი რეალისტური ნაწარმოებია, რომელ- მაც ძლიერი გავლენა იქნია ამერიკის მუშათა მოძრაობის ამაღლების საქმეში. „მე- ფე ნახშირი“ არაჩეულებრივ მხატვრულ ასტრატომით არის გადმოცემული კოლო- რადოს მაღაროების მუშების საშინელი ცხოვრება და მათი გაფიცვები 1913 წ. შე- მოდგრმასა და 1914 წლ. გაზაფხულზე.

1919 წელს გამოვიდა სინკლერის სამხედრო რომანი „ჯიმი ხიგინსი“, „ჯიმი ხი- გინსში“ აშკარად სჩანს სინკლერის სიმბატია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ- ციისადმი. საერთოდ, ეპტონი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დაწყები- დანვე დაკვირვებით ადვენტიდა თვალყურს რუსეთის ამბებს და პირველ დღიდანვე სიმპატიურად უყურებდა რუსეთის მუშათა კლასის მიერ დაწყებულ დიდ ისტორიულ საქმეს.

„ჯიმი ხიგინსის“ შემდევ ეპტონი აქვეყნებს რომანს „100%“. ამას მოჰყვა დიდი რომანი „ნავთი“. უკანასკნელ ხანებში ეპტონ სინკლერმა გამოაქვეყნა მთელი რიგი ანტი-ფაშისტური რომანები. დღეს სინკლერი აქტიურად იბრძვის ფაშიზმის წინააღმ- დეგ. ეპტონ სინკლერი მშვიდობიანობის მოყვარული საჭიროა ქვეყნის დიდი მეგო- ბარია.

3ლ. ჯიმუტი

II. ს. ტურგენევი

ნოემბერში ასოცი წელი შესრულდა მეცხრამეტე საუკუნის რუსული პროზის გამოჩენილი ასტრატის ივანე სერგეის-ძე ტურგენევის დაბადებიდან.

ი. ტურგენევი დაიბადა მემამულის ოჯახში. ბავშვობას მომავალი მწერალი ატა- რებს მშობლების მამულში. აქ იგი უშუალო მოწმე ხდება გლეხთა საშინელი ექსპლოა- ტუბისა, მათი ცხოვრების არაადამიანური პირობებისა, დამცირებისა.

თვით ტურგენევის ბავშვობა არ იყო ბედნიერი. იგი სასტიკი მშობლების, ხელში, მოკლებული იყო მხიარულებას, გართობასა და ბავშვურ სილადეს.

ტურა-კითხვა ტურგენევმა სოფელში შეისწავლა, იქვე გაედვიძა ინტერესი მხა- ტეროული ლიტერატურისადმი, კითხულობდა სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებებს.

1827 წელს ტურგენევი გადმოდის მოსკოვში და შედის ვეიდენგამერის კერძო ბანისონში. მასთა გადადის მოსკოვის ყველაზე უფრო საუკეთესო პანსიონში, რო- მელიც შემდევ გადაკეთდა აღმოსავლური ენების ინსტიტუტად. პანსიონში ტურგენევი გაეცნო უცხოეთის კლასიკოსებს, სავსებით დაეუფლა გერმანულ და ფრანგულ ენებს. 1833 წელს ბრწყინვალედ ჩაბარა მოსკოვის უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდები და ჩაირიცხა სიტყვიერების ფაკულტეტზე.

1834 წელს გადავიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1837 წელს. უნივერსიტეტში ტურგენევზე საუკეთესო გაელენა მოახდინეს პუშკინის მეგო- ბარშა პროფესორმა პლეტნევმა, კრიტიკოსმა ნიკიტენკომ და გოგოლმა. არ დაკმა- ყოფილდა რა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით, ტურგენევი წავიდა გერმანიაში და იქ ბერლინის უნივერსიტეტში მოისმინა ციკლი ლექციებისა. აქ მწერალი გაე- ცნო ჰეგელის ფილოსოფიას. ამასთან ტურგენევი გაეცნო აგრეთვე სტანკევიჩსა და საკუნიძს. როგორც პირველმა, ისე მეორემ დიდი გავლენა მოახდინეს მწერლის მსოფლმხედველობაზე.

1841 წელს ტურგენევი ბრუნდება სამშობლოში, ემზადება მეცნიერული ხარის-შისათვის ფილოსოფიაში. გამოცდას შესინიშნავად აბარებს, მაგრამ მეფის მთავრობაშ არ მძიება კაოლირა თავისუფალი აზრების გაცრცელების შიშით. იწყებს სამსახურს შინაგან საქმით სამინისტროში, მაგრამ ეს სამუშაო მას არ აკმაყოფილებს და თავს ანეჭებს იმ იმედით, რომ იშვიიდა სხვა სამსახურს. ამიერიდან სამსახურის ნაცვლად მისი მოღვაწეობის ახალ სფეროდ გადაიქა მხატვრული ლიტერატურა.

წერა ტურგენევმა ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაიწყო. 16 წლის ახალგაზრდაშ დასწერა „დრამატიული პოემა“, დაწერა სხვა ლექსებიც. მაგრამ ამ ლექსებმა ავტორს ერ შეუქმნეს პოპულარული მწერლის სახელი, ისნი მხატვრულად სუსტი და ბაირონის წაბატით იყო დაწერილი. ტურგენევის ნაწარმოები პირველად ზაიბერდა 1838 წ. „სოვერემენიკში“. ამის შემდეგ მწერალი სისტემატურად მეცნიერებას სხვადა-სხვა გამოცემებში.

მაგრამ მხოლოდ ორმოციან წლებში გამოარკვია მწერალმა თავისი: სამწერლო მოწოდება, პროზით გამოვიდა იგი დამოუკიდებელი ლიტერატურული შემოქმედებისა და რეალიზმის გზაზე. სწრაფად მიიპყრო მკითხველის და სამწერლო საზოგადოებრივობის ყურადღება. პირველ პროზაულ ნაწარმოების შესახებ („Хорь и Каиниши“). ბელინსკი სწერდა ავტორს: „ხორმა“ თქვენ აგამალათ, ვამპობ არა როგორც ჩემს მოსაზრებას. არამედ, როგორც საყოველოთა აზრს“.

ბელინსკითან გაცნობა, რაც მოხდა 42-43 წლებში, დაეხმარა ტურგენევს განთავისუფლებულიყო რომანტიზმის ყალბ ტრადიციებისაგან, განევითორებინა თავისი მსოფლმხედველობა და გამხდარიყო საბოლოოდ რეალისტი მწერალი. ტურგენევი დიდად პატივს სცენდა ბელინსკის და ბელინსკიც მაღალ შეფასებას აძლევდა ტურგენევის ნიჭს. ტურგენევმა შეითვისა ბელინსკის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა და ლიტერატურული გემოგნება. როგორც ერთი, ისე მეორე გახდა შემდომში მწერლის შემოქმედების ქვეყუთხედი. სწორედ პუმანიურმა შეხელულებებმა და მაღალმა მხატვრულმა გემოვნებამ შეუქმნა მწერალს დიდი და პოპულარული სახელი. ბელინსკი სწერდა, რომ ტურგენევი არის არაჩეულებრივად კეკვინი და საერთოდ კარგი ადამიანია. ლიდად აფასებდა ტურგინევის მხატვრულ ნიშას და კურას აგრეთვე მისი. მეორე ახლო მეგობარი ჰერცენი.

ტურგენევი თავის პროზაულ ნაწარმოებებში სასტიკად ესხმოდა თავს ბატონყმობას და იუვადა დაჩაგრული გლეხობის მორალურ უფლებებს. ტურგენევის ასეთ გამოსვლებს პროგრესიული და ობიექტურად რევოლუციური ხასიათი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი რევოლუციონერი არასოდეს არ ყოფილა.

40-იან წლებში ტურგენევი მეორედ მიდის საზღვარგარეთ. იგი უშუალო მოწერე ხდება საფრანგეთის 48 წლის რევოლუციის, იგი არ ემხრობა რევოლუციას, მაგრამ აინტერესებდა ამბების მსელელობა. გავიდა ქუჩაში და უყურებდა მუშებისა და პოლიციის ბრძოლას. რევოლუციისადმი ანტიპატიურად განწყობილი მწერალი საბოლოოდ დააშინა ამ ამბებმა, ის რევოლუციას სულელურ ამბავიდ სოვლიდა, ალტაცებაში იყო, რომ ბურუუზაზიაზ შესძლო „წესრიგის“ დამყარებას განსაკუთრებით აშინებდა რევოლუცია რუსეთში. იგი სასტიკად ილაშქრებდა რევოლუციონერების წინააღმდეგ რუსეთში განსაკუთრებით რეაფორმის შემდეგ.

მიუხედავად ამისა ტურგენევმა თავისი ჰუმანიზმით და გლეხობის მდგომარეობის რეალური ასახვით ბატონყმობურ რუსეთში დიდი როლი ითამაშა. მისი „მონადირის წერილები“ უდიდესი ინტერესით ვრცელდებოდა და იკითხებოდა რუსეთში მთელი ათეული წლების განმავლობაში. ამ ნაწარმოებისათვის ტურგენევი მეფის მთავრობამ და-აპატიმრა და ვადაასახლა სოფელში პოლიციის სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ.

ტურგენევის მხატვრული შემოქმედება გამოუკლებლივ შედის ჩეენს კულტურულ მემკვიდრეობაში და თანამეტროვობა კრიტიკულად ითვისებს მას.

ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაშვილი

გასული საუკუნის დიდი საზოგადო მოღვაწე და მრავალფეროვანი მწერალი ანტონ ნიკოლოზის-ძე ფურცელაშვილი დაიბადა სოფელ მერეთში 1838 წელს. ის იყო ჩამომავლობით ლარიბი აზნაურის შვილი. პირველდაწყებითი სწავლის მიღების შემდეგ სასწავლებლად შევიდა რუსთის კადეტთა კორპუსში. იქ პირველსავე წელს ფეხი იტკინა და სკოლას თავი მიანება. 1853 წელს 15 წლის ანტონი ბრუნდება საქართველოში და ხელს კიდებს თვითგანვითარებას, კითხულობს წიგნებს, ეცნობა საქართველოს, რუსეთისა და ევროპის მწერლობას, მალე თავს ანებებს სოფელს და საცხოვრებლად თბილისში გადმოდის. აქ ეწყობა სამასახურში. გაძლიერებით მუშაობს თვითგანვითარებაზე და თავის გარშემო მოწინავე ახალგაზრდობას იკრებს. მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად დიდი გატაცებით კითხულობს ფილოსოფიური და ეკონომიკური ხასიათის თხზულებებს.

ანტონი თბილისში მოხვდა ნიჭიერი ახალგაზრდობის წრეში, ის დაუახლოვდა აგრეთვე დიმიტრი ყიფიანს, ქრისტეფორე მამაცაშვილს და სხვებს. ამ ჯგუფს საშუალო პოზიცია ეკავა; „მამებსა და შვილებს“ შორის ბრძოლაში ანტონი არც-ერთ ჯგუფს არ ემხრობოდა.

ანტონის ცხოვრების კარგად მცოდნე სოფრომ მგალობლიშვილი ასე იგონებს მას: „ანტონი ქართული მწიგნობრობის, ქართული ცხოვრების და ისტორიის შესწავლით საკმაოდ გამობრძელდა, დაუკვირდა თანამედროვე ცხოვრებას, შეისწავლა და შეითვისა რუსთის შესანიშნავი მოღვაწე მწერლების მიმართულება. ნ. ჩერნიშევსკის წრე იმისი სათაყვანებელი იყო. ამ წრეს იგი აღმერთებდა. ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, გერცენი, ლავროვი აღტაცებით უყვარდა და აშკარად ქადაგებდა მოსწავლე ახალგაზრდობასა და მუშებში მათ აზრებს“...

ანტონს განსაკუთრებული ლევაწლი მიუძღვის ქართული თეატრის დაფუძნებისა და განვითარების, საქმეში. გიორგი ერისთავის შემდეგ თბილისში შესწყდა ქართული წარმოდგენების მართვა. ანტონმა შეადგინა სცენის მოყვარეთა წრე ნიჭიერ ახალგაზრდა ქალვაუებისაგან, დაიწყო წარმოდგენების მართვა. 1873 წლამდე ანტონ ფურცელაშვილი სათავეში უდგა და ხელმძღვანელობდა წარმოდგენების მართვას.

ანტონმა თავიდანვე საზოგადოებრივ ასპარეზზე ფეხი შემოსდგა, როგორც ღრმა და ჟეშშარიტმა დემოკრატმა. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ის იცავდა და ესარჩეობოდა გლეხობას. ანტონი დიდ ყურადღებას აქცევდა ნიჭიერ ახალგაზრდებს, იკრებდა მათ თავის გარშემო და ამხნევებდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსასვლელად. მას თავის სახლში სტანკევიჩისებური სალონი ჰქონდა გამართული. ამ სალონის მუდმივ წევრებად ითვლებოდნენ ნიკო ლომური, სოსიკო ბაქრაძე, გიორგი უთურგაული, ნიკო ნათაძე, სოფრომ მგალობლი-შვილი და სხვები.

ანტონი უფრო მეტ ყურადღებას იქცევს. როგორც მწერალი. მისი სამწერლო მოღვაწეობა მეტად უხვი და მრავალფეროვანია. ის სწერდა ლექსებს, პოემებს, ლრა-მებს, ტრაგედიებს, ისტორიულ ნარკვევებს, მოთხრობებს, პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს და სხვ. მისი უმთავრესი ნაწარმოებებია: „მაცი ხეიტია“, „დიდი მოურავი“, „ავაზანი“, „ბაგრატიონი ქება“, „ივლითი“, „მართა“, „ვაი მართალთა“, „თამარ ღაზენლი“, „ცისკარა“, „წყალობა“, „მარაბლა“, ანუ ცხრა ძმა ხერხეულიძეები“, „ქიტესა“ და სხვ. ანტონ ფურცელაშვილი თავის მხატვრულ შემოქმედებაში ასახავს გლეხობის ყოვლადაუტანცლ და დუხშირ ცხოვრებას ბატონყმობის დროს და ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ.

გ. გეგუაშვილი